ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 26 დეკემბერი, 2019 №306 (8260) ფასი: 60 თეთრი

რუსთავი 2-ს, ტვ პირველს და კავკასიას ინკასო დაადეს

გვ.2



17 დეკემბრიდან

ოტია იოსელიანი

მუხლებზე დაწერილი და მტრედებს გამოტანებული ბარათები



ფასი გაზეთთან ერთად 9,5 ლარი

თინა ხიდაშელი: „კობახიძეს აშშ-ში 4-5 უმძიმესი შეხვედრა ჰქონდა, ინფორმაცია ამერიკული მხარისგან მაქვს“

გვ.3

„თუ წულუკიანს პრობლემა არ აქვს პატიმრები რუსეთის ციხეებში საწამებლად გაიმეტოს, ის მაინც გაეთვალა, რომ ასეთი კრიზისისას გაფრინდაშვილში გაეცვალა“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილი შევიდა ავტორიტარული რეჟიმის ბოლო სტადიაში“

გვ.3

13 პოლიტიკური პარტია შევქმნით ივანიშვილის რეჟიმის რეპრესიების მსხვერპლთა და რეპრესიების განმახორციელებელ დამნაშავეთა სიას

„არ ჩანს ძალა, რომელიც ივანიშვილს ქვეყნიდან გაქცევას აიძულებს“

გვ.4

ლევან ჩაჩუა: „ხაზარაძემ თავის „ლელოში“ პოლიტიკური ექსჰუმაცია მოახდინა“

გვ.4

ვახტანგ ძაბირაძე: „ოცნების“ რესურსი დღითიდღე კლებულობს“

დავით ლორთქიფანიძე: „არ მგონია, კახა კალაძე „ოცნების“ ოპოზიციაში წავიდეს“

გვ.5

ISSN 1987-9385

2 ადვოკატი გიგუაშვილი: „ცოტნე გამსახურდიაზე თავდასხმის არც ერთ ვერსიას არ გამოვრიცხავთ“

6 ოდესაში ამერიკული ავიამზიდი შევიდა

2 ივანეიშვილი ივანიშვილის წინააღმდეგ „საქმე შემიკერეს, ბიძინამ ყველა ინვესტორი დაბლოკა“

6 ლუკაშენკომ რუსეთს ბელარუსის შემადგენლობაში შესვლა შესთავაზა

რუსთავი 2-ს, ტვ პირველს და კავკასიას ინკასო დაადეს



გუშინ, 25 დეკემბერს, ფინანსთა სამინისტროს გაფრთხილების შემდეგ, რამდენიმე ტელევიზიას ინკასო დაედო.

ტელევიზიებს შორის არიან რუსთავი 2, ტელეკომპანია პირველი და ტელეკომპანია კავკასია.

მიმდინარე დავალიანებების გამო შემოსავლების სამსახურმა საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას მიმართა. ფინანსთა სამინისტრომ ერთდღიანი ვადა ტელეკომპანიებს 24 დეკემბერს მისცა.

რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი ტელევიზიისთვის ინკასოს დადებას უსამართლო გადაწყვეტილებად აფასებს.

– დღეს, დაახლოებით ერთი საათის წინ, მივიღეთ შეტყობინება იმის თაობაზე, რომ ჩვენს საბანკო ანგარიშებს დაედო ინკასო, შემოსავლების სამსახურის ბრძანების საფუძველზე. ეს არის შედეგი იმ გაფრთხილებისა, რომელიც ჩვენ მივიღეთ ორი დღის წინ.

ჩვენი პოზიცია უცვლელია, მე ვთვლი, რომ ეს არის აბსოლუტურად უპასუხისმგებლო მოქმედება ამ შემთხვევაში, ვინაიდან, ამან შეიძლება გამოიწვიოს ტელეკომპანიის საქმიანობის შეფერხება.

ჩვენ, მენეჯმენტი ვაკეთებთ ყველაფერს, რომ ეს არ მოხდეს და ახალი წლის წინ, დღესასწაულების წინ, არხის პარალიზება არ მოხდეს. თუმცა, კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ 27 მილიონი ლარი დავალიანება დაგროვდა სწორედ იმის გამო, რომ ასეთი პრინციპულობა, რასაც ახლა იჩენენ ფინანსთა სამინისტრო და შემოსავლების სამსახური, მათ არ გამოუჩენიათ წინა მენეჯმენტის პირობებში, წლების განმავლობაში, როდესაც ეს ვალი გროვდებოდა თვიდან თვემდე. რამდენიმე წელი გავიდა, არ განუხორციელებიათ ასეთი მოქმედება და ახორციელებენ დღეს, როდესაც ჩვენ ვიხდიდით უკვე მიმდინარე დავალიანებებს, უბრალოდ გვაქვს მცირედი გადაცილება დროში.

აქედან გამომდინარე, ვთვლი, რომ ასეთი დამოკიდებულება აბსოლუტურად მიუღებელია ჩვენთვის და კიდევ ერთხელ ვამბობ, მოვუწოდებ ფინანსთა სამინისტროს, რომ არ გამოიყენოს ასეთი ღონისძიებები მომავალში, ჩვენ ვეცდებით, რომ მიმდინარე გადასახადები დავფაროთ, – აცხადებს **პაატა სალია.**

კავკასიის გენერალური დირექტორი, **ნინო ჯანგირაშვილი** ინკასოს დადებას ფეისბუქში ასე გამოეხმაურა:

„აჰა, მოვიდა ინკასო იგი და დაედო ჩემს ანგარიშებს. მადლობა მთავრობას. ეს პრაქტიკულად ტელევიზიის გაჩერებას ნიშნავს, რადგან ორგანიზაცია ვერ შეძლებს ვერანაირი ოპერაციის განხორციელებას.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ივანიშვილის ტელევიზიებს – იმედს, რუსთავს და მაესტროს ბიუჯეტის 55 მილიონი მართებთ და არავინ აპირებს ამის გამო ტელევიზია გაუჩეროს. საჭიროც აღარ არის მგონი რამის თქმა. ყველაფერი ისედაც გასაგებია.“

ინკასოს დადებას ასევე ფეისბუქში გამოეხმაურა ტვ პირველის გენერალური დირექტორი **ინგა გრიგოლია.**

„შეგვატყობინა სახელმწიფომ – „გაცნობებთ, რომ თქვენს ანგარიშზე წარმოდგენილია ინკასო.“

ასეთი უსამართლობის დროს ენერგია ასმაგდება ხოლმე! ამიერიდან უფრო მაგრად ვიმუშავებთ, მადლობა მოტივაციის კიდევ უფრო ამაღლებისთვის. და პაჩკა-პაჩკა ჩაუთვალეთ მილიონები თქვენს მაქებარ არხებს, რაც არ გვკლავს, გვაძლიერებს“, – დაწერა ინგა გრიგოლიამ სოციალურ ქსელში.

კალაძე: „მშრალ და ზაარბრიუკენის ხიდებზე სამუშაოები ისეა შესრულებული, გულზე შემოგეყრებათ“

– მშრალ ხიდსა და ზაარბრიუკენის ხიდზე საგზაო სამუშაოები ისეა შესრულებული, გულზე შემოგეყრებათ.

ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის მთავრობის სხდომაზე გუშინ, 25 დეკემბერს, განაცხადა.

მერმა თავის მოადგილეს, ირაკლი ბენდელიანს მიმართა, რომ შეხვდეს აღნიშნული სამუშაოების განმახორციელებელ კომპანიას და გზის საფარის ხელახლა გაკეთება დაავალოს. კალაძის განცხადებით, კომპანია საგზაო სამუშაოებს ხელახლა, საკუთარი ხარჯებით ჩაატარებს.

– მინდა, შევეხო მშრალი ხიდისა და ზაარბრიუკენის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. აქ რამდენიმე დღის წინ დამთავრდა გზის მოწყობითი სამუშაოები. დღეს ისეთი დღეა, არ მინდა ჩხუბი და ამ თემაზე კიდევ ერთხელ ყურადღების გამახვილება, მაგრამ გულზე შემოგეყრებათ, ისეა სამუშაოები შესრულებული, განსაკუთრებით საგზაო ინფრასტრუქტურის ნაწილში.

ამიტომ მშვიდად, ყოველგვარი აღელვების გარეშე, დაიბარეთ კომპანია დღესვე და საგზაო სამუშაოები განახორციელოს თავიდან. კატეგორიულად მიუღებელია ასეთი პროექტის მიღება-ჩაბარება. ჩვენი ლაბორატორიის თანამშრომლებმაც აღნიშნეს, რომ ძალიან უხარისხოდაა ყველაფერი გაკეთებული. მინდა, ირაკლი ბენდელიანს დავავალო, რომ დღესვე დაიბარეთ კომპანია და თავისივე ხარჯებით გამოასწორებინეთ ყველაფერი.

ააფრეზინეთ ის, რაც დააგეს და თავიდან გააკეთონ ნორმალური საფარი. დაექვემდებარონ იმ სტანდარტებს და მოთხოვნებს, რომელიც დედაქალაქის მერიის მხრიდან არის, – განაცხადა კახა კალაძემ.

ივანეიშვილი ივანიშვილის წინააღმდეგ

„საქმე შემიკერეს, ბიძინამ ყველა ინვესტორი დაბლოკა“

„ქართული ოცნების“ ყოფილი მაღალჩინოსანი ბიძინა ივანიშვილს სკანდალურ ბრალდებას უყენებს.

ნიუპოსტის ცნობით, ქსნის ციხის პატიმარი, წყალტუბოს საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე გრიგოლ ივანეიშვილი აცხადებს, რომ წყალტუბოს ხელში ჩასაგდებად, ივანიშვილმა კურორტით დაინტერესებული ყველა ინვესტორი დაბლოკა.

ივანეიშვილის თქმით, ის ივანიშვილის მხილების გამო გაანეიტრალა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა.

– საქმე შემიკერეს და ეს მე სასამართლოში, საჯარო სივრცეში ვთქვი. მომცეს თორმეტი წელი, – აცხადებს ივანეიშვილი.

სუს-მა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ბრალდებით, წყალტუბოს საკრებულოს თავმჯდომარე 25 იანვარს დააკავა.

მას მოსამართლის გადაწყვეტილებით 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

სემეკმა გაზის სამომხმარებლო ტარიფი უცვლელად დატოვა

სემეკმა გაზის სამომხმარებლო ტარიფი უცვლელად დატოვა. შესაბამისი განცხადება სემეკის თავმჯდომარე დავით ნარმანიამ სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან გააკეთა.

ნარმანიას თქმით, მომდევნო 3 წლის განმავლობაში გაზის ტარიფი არ შეიცვლება.

– სხვადასხვა პარამეტრებზე დაყრდნობით, დღეს ბუნებრივი აირის ტარიფები დავადგინეთ. დედაქალაქში ბუნებრივი აირის ტარიფი დარჩა უცვლელი. თუ ადრე ტარიფები მხოლოდ ერთი წლით დგინდებოდა, დღეს პირველად დავადგინეთ სამი წლით, ასე რომ, დედაქალაქის მოსახლეობას შეუძლია მომდევნო სამი წლის განმავლობაში იყოს მშვიდად, რადგან მომდევნო სამი წელი ტარიფების ზრდა არ მოხდება, – აღნიშნა ნარმანიამ.

ამასთან, ნარმანიას თქმით, მოსაწოდებელი გაზის ფასთან დაკავშირებით აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობებს შორის ახლაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები, თუმცა ამ ეტაპზე რაიმე სახის ზრდა მოსალოდნელი არაა.

რაც შეეხება რეგიონებში გაზის ტარიფს, სემეკი სოკარისთვის ტარიფს უახლოეს დღეებში დაადგენს.

ადვოკატი გიგუაშვილი: „ცოტნე გამსახურდიაზე თავდასხმის არც ერთ ვერსიას არ გამოვრიცხავთ“

– ვერავინ აუვლის გვერდს ცოტნე გამსახურდიას წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებლობას, ვინც არ უნდა იყოს ის და რა ძალებიც არ უნდა იდგნენ მათ უკან.

ამის შესახებ ცოტნე გამსახურდიას ოჯახის ადვოკატმა ამირან გიგუაშვილმა განაცხადა.

ადვოკატის განმარტებით, ისინი ცოტნე გამსახურდიაზე თავდასხმის ვერც ერთ ვერსიას ვერ გამორიცხავენ, მათ შორის ვერ სიტუაციურად წარმოშობილ კონფლიქტს.

– ჩვენ არ გამოვრიცხავთ არც ერთ ვერსიას, ვიდრე ცოტნე გამსახურდია თვითონ არ გააკეთებს განმარტებებს. ჩვენ უბრალოდ ვცდილობთ, არ იყოს სპეკულაციები სხვადასხვა ვერსიებთან მიმართებით. თუმცა, კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვუშვებ, რომ ყველა ვერსია ამ ეტაპზე არის დასაშვები, როგორც სიტუაციურად წარმოშობილი კონფლიქტი, ისე მის მიმართ წინასწარ დაგეგმილი სპეკულაცია.

მე ანგარიშს ვუწევ და არ ვასაჯაროებ პირადი სახის ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება თითოეულ ბრალდებულს, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ თითოეული მათგანი არის სისხლის სამართლებრივ დანაშაულში მხილებული და კონფლიქტში მყოფი კანონთან, ამას კიდევ ერთხელ ვადასტურებ.

ეს ადამიანები იყვნენ კრიმინალთან შემხებლობაში, მათი ქმედებები, სისასტიკე, რომელიც განახორციელეს ცოტნე გამსახურდიას მიმართ, დამახასიათებელია სწორედ კრიმინალური მენტალიტეტის მქონე ადამიანებისთვის. მათი შემდგომი ქმედებები, დანაშაულის საგნის, დანების მოშორება, შემთხვევის ადგილიდან მიმალვა, ეს არის დამახასიათებელი იმ ადამიანებისთვის, რომლებიც პირველად არ არიან კონფლიქტში კანონთან, – განაცხადა ამირან გიგუაშვილმა.

ადვოკატი დამატებითი მასალების გაცნობას აპირებს.

– გავეცნობი დამატებით მასალებს, რა გაკეთდა ამ ორი-სამი დღის განმავლობაში, იმიტომ, რომ იცით, იქ იყვნენ სუფრის წევრები, თვითონ ბრალდებულების განმარტებით, მინიმუმ 10 ადამიანი და მათი ვინაობა არ იყო დადგენილი დღემდე.

ჩვენ გვესმის, რომ ფორსმაჟორულ სიტუაციაში მოქმედებდა საგამოძიებო ორგანო და იმ ეტაპზე მიმდინარეობდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ბრალდებულების დაკავების, მათი ჩვენებების მოპოვებისა და ბრალდებულების სახით პასუხისგებაში მიცემის მიზნით.

ახლა უკვე გვაინტერესებს, შემდგომ ეტაპზე რა განხორციელდება. მე ასევე მექნება წერილობითი რეკომენდაციები, რომლებსაც ვერ გავასაჯაროვებ, მაგრამ გადავცემ პროკურატურას ჩვენს მოსაზრებებს თუ რა არის გასაკეთებელი ამ საქმეში, – განაცხადა ამირან გიგუაშვილმა.

მიხეილ კალანდიას სასამართლო პროცესზე 9 ექსპერტი დაიკითხა



გუშინ, 25 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხორავას ქუჩაზე დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობის ბრალდებით დაკავებული მიხეილ კალანდიას სასამართლო პროცესზე 9 ექსპერტი და გამომძიებელი დაიკითხა.

როგორც მიხეილ კალანდიას ადვოკატმა, ზურაბ თოდუამ სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, ექსპერტების დაკითხვისას რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი გახდა ცნობილი.

– 51-ე საჯარო სკოლის წინ გადაღებულ ვიდეოკადრზე ხელში რა საგანი უჭირავს მიხეილ კალანდიას, ამაზე დღეს დაკითხულმა ექსპერტმა ვერ გასცა პასუხი, მაგრამ მისი ფერადი სურათის დათვალიერების შედეგად აშკარად ჩანს, რომ მიხეილ კალანდიას მარჯვენა ხელში უჭირავს შავი ფერის საგანი, რომელსაც არ აქვს დაფარული მისი ოთხი თითიც კი, ანუ ეს საგანი სავარაუდოდ უნდა იყოს 3 სანტიმეტრიდან 3/5 სანტიმეტრამდე, ამაზე დიდი არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

ჩემს კითხვაზე ექსპერტის მიმართ, შეეძლო თუ არა განესაზღვრა, რა ზომის იყო ეს ნივთი, მან განმარტა, რომ მისთვის გამოძიებას ასეთი კითხვა არ დაუსვამს, აქედან გამომდინარე, ის ამაზე ვერ იმსჯელებს.

ასევე გაირკვა მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, გამომძიებლის მიერ შესრულებული საგამოძიებო მოქმედებები ცალსახად მიუთითებს ერთ კონკრეტულ გარემოებაზე, რომ გამოძიება თავის დროზე ჩატარდა უხარისხოდ და მხოლოდ 8 თვის შემდეგ გამოძიებამ მიიღო დადგენილება, ხელახლა დაათვალიეროს შემთხვევის ადგილი.

სასაცილოა და პაროდიაა, როცა 8 თვის შემდეგ იწყებენ რეალურ გამოძიებას, – განაცხადა ადვოკატმა.

საქმეზე შემდეგი სასამართლო სხდომა 27 დეკემბერს, 11:30 საათზე, გაიმართება.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

თინა ხიდაშელი: „კობახიძეს აშშ-ში 4-5 უმძიმესი შეხვედრა ჰქონდა, ინფორმაცია ამერიკული მხარისგან მაქვს“

„თუ წულუკიანს პრობლემა არ აქვს პატიმრები რუსეთის ციხეებში საწამებლად გაიმეტოს, ის მაინც გაეთვალა, რომ ასეთი კრიზისისას გაფრინდაშვილში გაეცვალა“

იაგო ნაცვლიშვილი

ამერიკა საქართველოს კიდევ ერთხელ აკრიტიკებს. თუმცა, ტონი შედარებით შერბილებულია. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში, რომელიც 23 დეკემბრის ღამით გამოქვეყნდა, სასამართლო რეფორმა პოზიტიურად არის შეფასებული, თუმცა სამართლიანი სასამართლოს დამკვიდრებას ხაზი აქვს გასმული. ანგარიშში გაკრიტიკებულია პროკურატურაც და ხაზგასმით არის ნათქვამი ოპოზიციასთან დიალოგის აუცილებლობაც. ამის მიუხედავად ხელისუფლების წარმომადგენლები ჯიუტად ამტკიცებენ, რომ დეპარტამენტი მმართველი ხელისუფლების საქმიანობას პოზიტიურად აფასებს.

რა გვითხრა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა და აქვს თუ არა ქართულ ოცნებას ზეიმის საფუძველი? როგორ მიმდინარეობდა ირაკლი კობახიძის ამერიკული შეხვედრები და რა ინფორმაცია მიაწოდეს მას ამერიკელმა პარტნიორებმა? როგორ აფასებს ოკუპანტების მიერ ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის ტყვეობას და გამოიყენა თუ არა საქართველომ მის დასახსნელად ყველა ბერკეტი? – აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თავდაცვის ყოფილი მინისტრი, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო იდეის“ ხელმძღვანელი თინა ხიდაშელი საუბრობს:

– აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშს მოჰყვა სხვადასხვაგვარი ინსინუაციები. ხელისუფლება ისევ გვიმტკიცებს, რომ არაფერი კრიტიკული არ წერია ანგარიშში. ნათქვამია, რომ სასამართლო რეფორმა კარგია, მაგრამ აქვე დაზუსტებულია, რომ ქვეყანას უნდა ჰქონდეს სამართლიანი სასამართლო. ეს ხელისუფლების კრიტიკად არ უნდა აღვიქვათ?

– ის ფაქტი, რომ შობის წინ, როდესაც ამერიკაში სახელმწიფო სამსახურები გაჩერებულია და შობის დღესასწაულისთვის ემზადებიან და როდესაც ასეთ დროს ახსენდება ასეთი ტიპის განცხადება, ეს იმის მიმანიშნებელია, რომ წლის ბოლოს კიდევ ერთხელ შეგვახსენეს, რომ რაღაც ვერ გვაქვს კარგად და მისახედია.

თავად განცხადება, ჩემი აზრით, ძალიან კარგია, რომ ასეთო ტონალობისაა და ის განსხვავდება მანამდე არსებული განცხადებებისგან, მათ შორის სენატორების, კონგრესმენების და თავად სახელმწიფო დეპარტამენტის წინა განცხადებებისგან. თუნდაც სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოს იმ განცხადებისგან, სადაც ის ანაკლიის პორტზე საუბრობდა. ისეთი მკაცრი ტონი აღარ იყო დეპარტამენტის ამ ანგარიშში და ეს სწორია.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ისინი ელაპარაკებიან სტრატეგიულ პარტნიორს და დიდი იმედი მაქვს, რომ ასეთი ტონალობა სწორედ ამით არის გამოწვეული, რომ საქართველოს მიმართ იმედი არ იყოს გადაწურული. მაგრამ, კიდევ ერთხელ ვამბობ, ილუზიაში არ უნდა ჩავარდეს ჩვენი ხელისუფლება იმით, რომ ტონი განსხვავებულია ყველა წინა განცხადებებისგან. ეს სწორედ იმით არის გამოწვეული, რომ წლის ბოლოა და ერთგვარად შეაჯამეს და გვითხრეს, რომ სასამართლოს მიხედეთ, მიხედეთ განვითარებას და რაც ყველაზე მთავარია, ისინი მიესალმებიან ოპოზიციასთან საარჩევნო საკითხებზე დიალოგს. მე ვფიქრობ, რომ ეს ერთმნიშვნელოვნად იმის მთქმელია, რომ პრობლემა აქვს საქართველოს ხელისუფლებას და ეს პრობლემა დიალოგის გზით უნდა გადაწყდეს.

ერთია ის, მე რას ვიტყვი ან არჩილ თალაკვაძე რას იტყვის საჯაროდ და მეორეა, სწორად გაიგონ გზავნილები. მთავარია თავად მიხვდნენ სახელმწიფო დეპარტამენტის სათქმელს. გავიგე, რომ შეუძლიათ საჯაროდ იზეიმონ და ამის პრობლემას მე ვერ ვხედავ, მაგრამ ყველაზე მთავარია, გაიგონ რაშია საქმე. მით უმეტეს იმ ფონზე, რომ ბატონი კობახიძე ერთი კვირის წინ ბრძანდებოდა აშშ-ში და ჩემი ინფორმაციით ძალიან მძიმე შეხვედრები ჰქონდა მას. ისეთი, როგორიც საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას არასდროს არ ჰქონია.

– ეს ინფორმაცია ამერიკული მხარისგან გაქვთ?

– რა თქმა უნდა. აბა კობახიძე ხომ არ მომიყვებოდა?!

– რა შენიშვნები მიიღეს?

– მინიმუმ 4-5 შეხვედრის შესახებ მაქვს დეტალური ინფორმაცია, რა ხდებოდა იმ დარბაზში, სადაც კობახიძეს ჰქონდა შეხვედრები. მე უფრო კარგად ვიცნობ იმ ადამიანებს, ვიდრე საქართველოს ხელისუფლების დღევანდელი წარმომადგენლები. ვიცი, რომ ამერიკელ პარტნიორებს აწუხებთ საქართველოში არსებული ვითარება, მათ უყვართ საქართველო და ამიტომ ცდილობენ, რომ იპოვონ ამ კრიზისიდან გამოსავალი, რაც საქართველოში ხდება.

– ახსენეთ კობახიძის ამერიკული შეხვედრები. გაგვიმხილეთ რამდენიმე დეტალი, რა ხდებოდა იმ შეხვედრებზე, რა ინფორმაციას ფლობთ ამ თემებზე?

– არა მგონია ეს სწორი იყოს. მე სწორედ იმიტომ მაქვს ეს კომუნიკაცია, რომ ამაზე მერე არ ვჭორაობ და მედიასთან არ ვლაპარაკობ. მათ აბსოლუტურად სრული სურათი დაანახეს ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორებმა. პირველი, როგორ უყურებენ ამ განვითარებულ მოვლენებს და მეორე, რა იქნება ერთი სცენარის ან მეორე სცენარის განვითარების შემთხვევაში. მე მგონი, დიდი მიხვედრა არ სჭირდება იმას, რა ხდებოდა ამ შეხვედრებზე. იქიდან გამომდინარე, რაც მოჰყვა კობახიძის ვიზიტს განცხადებების ფორმით და მთავარ ამერიკულ მედიასაშუალებებში სარედაქციო სტატიების ფორმით. მე მგონი, განსაკუთრებით დამალული არაფერი ყოფილა, რომ მძიმე, ძალიან კრიტიკული და ხშირად ხმამაღალი შეხვედრები იყო.

– ამერიკის ხელისუფლება საქართველოში პრორუსულ ნარატივს ხედავს და ამაზე ღიად ელაპარაკნენ კობახიძეს?

– ამერიკის ხელისუფლება არასდროს არ ილაპარაკებს ამ ტერმინოლოგიით. იმიტომ, რომ ეს არ არის საბჭოთა კავშირი, მაგრამ მთავარი არის ერთი რამე. თუკი საქართველო არადემოკრატიული ქვეყანა გახდება და ამ გზაზე სწრაფი ტემპით იმოძრავებს, ეს არის ყველაზე დიდი პრორუსული ნარატივი და ეს არის ყველაზე დიდი საჩუქარი კრემლისთვის. ამიტომ, ვფიქრობ, რომ აქ ყველაფერი მარტივია. არადემოკრატიული და ტოტალური საქართველო, რაღაცა ქაჯური პროვინციალიზმი და ოლიგარქიულ სისტემაში ჩაძირული საქართველო, აი ეს არის კრემლისთვის ყველაზე დიდი საჩუქარი.

– რა მიმართულებებს ხედავენ ამერიკაში ყველაზე კრიტიკულად – ეს არის მართლმსაჯულება თუ ეს არის საარჩევნო საკითხები?

– ჯამურად ეს არის ძალაუფლების უზურპაცია. ძალაუფლების უზურპაცია თავის თავში მოიცავს ხელისუფლების სხვადასხვა შტოებში ან უკანონო მართვას, ან ისეთი სისტემების შემოღებას, რომელიც უზრუნველყოფს ერთი პოლიტიკური ძალის მუდმივად ხელისუფლების შენარჩუნებას დემოკრატიის საწინააღმდეგოდ და, ბუნებრივია, რომ სასამართლო არის უმნიშვნელოვანესი ნაწილი მთელ ამ ისტორიაში. იქიდან გამომდინარე, რომ საბოლოო ჯამში ყველა დავა იქ მიდის და ბოლო არბიტრი სწორედ სასამართლოა.

– ამერიკის ოდნავ შერბილებული კრიტიკა ასე უნდა გავიგოთ, რომ პირდაპირი საუბრისას ღიად მისცეს მწვავე შენიშვნები „ოცნებას“, მაგრამ მერე შეარბილეს, რათა ეთქვათ, რომ მტრად კი არ განგიხილავთ, არამედ პარტნიორად და ამ შეცდომების გამოსწორების საშუალებას გაძლევთო?

– პირველ რიგში, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ დეპარტამენტის განცხადება ძალიან კრიტიკულია, დიპლომატიის ყველა წესების დაცვით, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ იქამდე

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილი შევიდა ავტორიტარული რეჟიმის ბოლო სტადიაში“

13 პოლიტიკური პარტია შევქმნით ივანიშვილის რეჟიმის რეპრესიების მსხვერპლთა და რეპრესიების განმახორციელებელ დამნაშავეთა სიას

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი პასუხობს.

– ლაშა, ოპოზიციურმა პარტიებმა პოლიტიკური დევნის საკითხთა შემსწავლელი კომისია შექმენით. ასევე ითქვა ისიც, რომ შეიქმნება შავი სია, სადაც რეჟიმის წარმომადგენლები შევლენ. უფრო დეტალურად რას გვეტყვით ამ კომისიის შესახებ?

– ჩვენ, ოპოზიციური ფორმატის ფარგლებში, ყველა ოპოზიციურმა პარტიამ, რომელიც საქართველოში არსებობს და რომლებიც ერთობლივად ვიბრძვით, სწორედ ამ ფორმატის ფარგლებში მქონდა დაყენებული ინიციატივა, რომ ერთობლივი სია შეგვედგინა პოლიტიკური დევნილებისა და შეგვექმნა შესაბამისი კომისია. ეს წინადადება იქნა მიღებული და გუშინვე დაფუძნდა პოლიტიკური დევნის საკითხების შემსწავლელი მრავალპარტიული კომისია, რომელშიც ამ ეტაპზე წარმოდგენილია 13 პოლიტიკური პარტიის ლიდერები, მათ შორის მეც გახლავართ და აქვს ლეგიტიმაცია ყველა ოპოზიციურ პარტიას, რომლებიც ვართ ამ ოპოზიციურ ფორმატში.

– რა არის კომისიის მიზანი?

– ამ კომისიის მიზანი არის, ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, შავი სიის შექმნა, რომელიც გულისხმობს რეჟიმის პირველი პირებისა თუ მათი აღმასრულებლების პერსონიფიკაციას, რომლებიც დაკავებულები არიან მასობრივი პოლიტიკური რეპრესიებით, მათ შორის დაკავებებით, ფიზიკური ანგარიშსწორებით და ასე შემდეგ. ხოლო, მეორე მხრივ, ბუნებრივია, რეპრესიების მსხვერპლთა იდენტიფიკაცია მოხდება და, შესაბამისად, მიზანი გახლავთ ის, რომ, ერთი მხრივ, შევეცადოთ პრევენცია მოვახდინოთ, შევაფერხოთ მაინც ივანიშვილის რეჟიმის მხრიდან პოლიტიკური ოპონენტების, ჟურნალისტების, აქტივისტების და სხვა პირების მიმართ დევნა პოლიტიკური ნიშნით, ხოლო მეორეს მხრივ, საბოლოოდ უარი ვათქმევინოთ ამ მეთოდებზე და გავისტუმროთ ხელისუფლებიდან ისე, რომ რაც შეიძლება ნაკლები ზიანი იყოს საზოგადოებისათვის.

– შავი სიის მიზანი რა არის?

– შავი სიის მიზანი მათ შორის ისიც არის, რომ ჩვენ ვთვლით, რომ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან უნდა იყოს როგორც გამოხმაურებები, ასევე სანქციები, რომელიც დაიწყო უკვე. იგივე სოციალურ ქსელებში და ფეისბუქიდან ბოტებისა და ტროლების, მასობრივი წმენდა, რომელიც გახლავთ კონკრეტული სანქცია და ეს არ არის მხოლოდ ცუკერბერგის გადაწყვეტილება. დარწმუნებული ვარ, ამაზე იმოქმედა შეერთებული შტატების ხელისუფლების პოზიციამაც. ასევე, უნდა მივიდეთ იქამდე, რომ კონკრეტული ფინანსური სანქციები იქნას გამოყენებული ივანიშვილის და მისი რეჟიმის და ხელისუფლების პირველი პირების მიმართ. ასევე იმ მოსამართლეების, პროკურორების და პოლიციელების წინააღმდეგ, რომლებიც ამ უკანონო ბრძანებებს ასრულებდნენ.

– ლაშა, რომ დავაზუსტოთ, ეს სია დასავლეთში იგზავნება პარტნიორებთან?

– რა თქმა უნდა, ჩვენ ამ კომისიის ფარგლებში შევქმნით ორ ძირითად სიას, ივანიშვილის რეჟიმის რეპრესიების მსხვერპლთა სიას, ხოლო მეორე მხრივ, ამ რეპრესიების განმხორციელებელთა დამნაშავეთა სიას, რომელიც, ბუნებრივია, გაიხსნება ბიძინა ივანიშვილის სახელით. იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში ის არის მთავარი პროკურორიც, მოსამართლეც, სასამართლოს თავმჯდომარეც, პარლამენტის თავმჯდომარეც და პრემიერ-მინისტრიც. სხვა ის ადამიანები, რომლებიც მის უახლოეს გრემოცვას წარმოადგენენ და ამ რეპრესიების განხორციელებას აწარმოებენ, ისინიც იქნებიან წარმოდგენილი. თუნდაც, როგორც არის გახარია, როგორიც არის ჩუბინიძე, რომელიც აქციის დარბევას ხელმძღვანელობდა გახარიასთან ერთად. ასევე დაბალი რანგის პირები, რომლებიც ამ დავალების აღსრულებას აწარმოებდნენ. ვგულისხმობ ფილიშვილს და მისნაირ ჯალათ მონა მოსამართლეებს. ასევე ვაჟა სირაძეს, რომელიც აქციების დარბევით არის დაკავებული და სხვა მსგავს პირებს.

– თუ არსებობს უკვე ეს სია და რამდენი ადამიანისგან შედგება?

– სია არსებობს და ამაზეც მოგახსენებთ. ჩვენ, ოპოზიციურმა პარტიებმა გადავწყვიტეთ, რომ ცალ-ცალკე კი აღარ ვიმუშაოთ პარტიებმა, არამედ ერთად შევაჯეროთ ჩვენი მომხრეების, ჩვენი წევრების, სხვა პოლიტიკურად მოტივირებული დევნის ობიექტების, პოლიტიკოსების აქტივისტების და ა.შ., მათ წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები და შევქმნათ ერთიანი სია. ეს საკმაოდ დიდი მასაა. ეს კომისია ახლა შეიქმნა, იდეის პრეზენტაცია განხორციელდა და ეს კომისია იმუშავებს 20 ივნისის შემდგომ პერიოდში განხორციელებულ რეპრესიების საკითხებზე. ამ ეტაპზე ეს ამოცანა გვაქვს დასახული და ამ შედარებით მცირე პერიოდშიც კი, დაახლოებით 6 თვის ვადაში, ზღვა მასალა მოგროვდა.

ივანიშვილი შევიდა ავტორიტარული რეჟიმის ბოლო სტადიაში, გადავიდა მასობრივ დაჭერებზე. ბევრი ფაქტია და ჩვენ ვეცდებით, რომ იანვრის დასაწყისში უკვე გვქონდეს სია, რომელსაც პირველადი სახით გამოვაქვეყნებთ და გადავაგზავნოთ ის როგორც დასავლეთში, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში და, რა თქმა უნდა, გავხადოთ საჯარო საქართველოს მოქალაქეებისათვის.

– ამ დროისათვის რამდენი ადამიანია ამ სიაში?

– ამოცანა საკმაოდ რთულია, რადგან 220-ზე მეტი ადამიანია ახლა, რაც ითვლება, ესეც მხოლოდ უკანონო დაკავების, დაპატიმრების, ან სხვა სახის სანქციის გაგრძელებით უკვე სახეზეა. 220 ადამიანი ამ 6 თვის პერიოდში ივანიშვილმა გარკვეული დროით მაინც დააკავა. ზოგი მათგანი აღმოჩნდა პატიმრობაში, ზოგის მიმართ ბრალია წაყენებული, ზოგის მიმართ ფინანსური სანქციებია გამოყენებული, მაგრამ ეს ყველაფერი დაკავების შემდგომ.

როცა ხელისუფლება სპეკულირებს, მაგალითად, წულუკიანი და სხვა მსგავსი არსებები, რომ ამდენი რაოდენობა აბა სად არისო, ხაზს ვუსვამ, ამ უკანონო დაკავებების ნაწილში შედის ყველა ის პირი, ვინც ამა თუ იმ დროით დაუკავებიათ უკანონოდ, ზოგი დარჩა პატიმრობაში უკანონოდ, ზოგის მიმართ ბრალია წაყენებული და გრძელდება საქმის წარმოება უკანონოდ, ზოგი დაჯარიმდა, ზოგმა უკვე მოიხადა პატიმრობა. ეს ეხება სისხლის სამართლის საქმეებსაც და ადმინისტრაციულ საქმეებსაც. თუმცა გეტყვით იმასაც, რომ ჩვენ მარტო უკანონო დაკავება-დაპატიმრების ნაწილზე არ ვიმუშავებთ.

8 იანვრის შემდგომ პერიოდში უკვე ვაპირებთ, რომ ფიზიკური ანგარიშსწორების მსხვერპლთა აღნუსხვაც გავაკეთოთ, როგორც მსხვერპლის, ასევე დამნაშავეების, ჯალათების. ასევე ვაპირებთ, რომ უკანონო ფინანსური სანქციებით დაზარალებულ ადამიანებზეც ვიმუშაოთ.

– ვინც შავ სიაში ხვდება, მათი რიცხვი რამდენია?

– როგორც აღვნიშნე მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით უკანონოდ დაკავებულთა რაოდენობამ გადააჭარბა 220-ს, ხოლო რაც შეეხება ამ უკანონო დაკავების განმახორციელებელ პირებს, მათი რაოდენობა ზუსტდება, ამას 8 იანვრამდე საბოლოოდ შევაჯერებთ და მაშინ გახდება ცნობილი, რამდენ ასეულ ადამიანზე იქნება ლაპარაკი. თუმცა არიან გამორჩეული პირები, რომლებიც უკვე დაგისახელეთ. მოსამართლეებიდან ფილიშვილი, ამ სიაში ერთ-ერთ მოწინავე რიგებში იქნება.

– საკმაოდ მძიმე 2019 წელი იყო. ხელისუფლებამ უკვე მიიღო სერიოზული სანქციები დასავლეთიდან, გაძლიერდება წნეხი?

– რა თქმა უნდა, ჩვენ უკვე ვნახეთ არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის და დასავლური სახელმწიფოს გამოხმაურება. დაწყებული სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებიდან, გაგრძელებული სენატის პირველი პირების განცხადებებით და კონკრეტული სანქციებით. ივანიშვილის ხელისუფლებას წინ ელის კიდევ მრავალი უფრო მძიმე სანქცია, მათ შორის ფინანსური სანქციებიც. ვეცდებით მაქსიმალურად მალე განხორციელდეს ამ ტიპის სანქციები.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

ვახტანგ ძაბირაძე: „ოცნების“ რესურსი დღითიდღე კლებულობს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში 2019 წლის პოლიტიკურ პროცესებს აჯამებს.



– პატონო ვახტანგ, როგორ შეაჯამებთ 2019 წელს პოლიტიკური თვალსაზრისით? რას გამოყოფდით?

– ხელისუფლებისთვის წყალგამყოფი აღმოჩნდა 20 ივნისის მოვლენები. „ქართული ოცნება“ სულ სხვა იმიჯის მატარებელი იყო 20 ივნისამდე და სულ სხვა იმიჯი აქვს დღეს. 20 ივნისამდე „ქართულ ოცნებას“ გარკვეული მორალური უპირატესობა ჰქონდა მის მთავარ ოპონენტთან, ნაციონალურ მოძრაობასთან, მაგრამ 20 ივნისის შემდეგ ეს უპირატესობა დაკარგა.

შემდეგაც პროცესები მძიმედ და რთულად განვითარდა და ხელისუფლება მივიდა იქამდე, რომ ქვეყანაში მივიღეთ საზოგადოებრივი კრიზისი. როგორც ჩანს, „ქართული ოცნება“ ვერ შეძლებს სიტუაციის შემობრუნებას.

– რატომ, შესაძლებლობები ამოწურა?

– საქმე ის არის, რომ ამას მხოლოდ „ქართული ოცნების“ რეიტინგი არ განაპირობებს. ჯერ კიდევ ბევრი სხვა ფაქტორი მუშაობს საამისოდ. შესაბამისად, იმის თქმა, რომ „ოცნებას“ აღარ აქვს შანსი ძალაუფლების შენარჩუნების, ამ ეტაპზე მიჭირს. თუმცა, პროცესი ისე ვითარდება, რომ დღითიდღე ეს შესაძლებლობები მას ეცლება. რესურსები ნაკლებად აქვს, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ ჯერ კიდევ შეუძლია გარკვეული ნაბიჯების გადადგმა და პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციისკენ დაბრუნება, თუმცა, ეს ვერ იქნება შემობრუნება და ის ვერც მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცვლილებებს, რეფორმებს ვერ განახორციელებს.

მეორე, შეინარჩუნებს თუ არა ძალაუფლებას „ქართული ოცნება“, ასევე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოხდება ოპოზიციურ ფლანგზე. მნიშვნელოვანი პროცესები მიდის ოპოზიციურ ფლანგზე. მართალია, ჯერ ეს პროცესები ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული, მაგრამ კონტურები იკვეთება.

– რას გულისხმობთ?

– თუნდაც იმას, რომ შეიქმნა ახალი ერთობა, „ლელოს“ ვგულისხმობ. ასეთი გამსხვილებების პროცესი ოპოზიციურ ფლანგზე ჯერ არ დასრულებულა. როგორი ლანდშაფტი ჩამოყალიბდება ოპოზიციურ ფლანგზე, როგორი კონფიგურაციით წარდგება ოპოზიცია ამომრჩევლის წინაშე, ამას ექნება მნიშვნელობა.

თუ ოპოზიცია შეძლებს იმ ამომრჩევლის მიზიდვას, რომელიც დისტანცირებულია როგორც „ქართული ოცნებიდან“, ისე ნაციონალური მოძრაობიდან, მაშინ შესაძლოა საკმაოდ საინტერესო სურათიც მივიღოთ. რესურსი ელექტორალური თვალსაზრისით ნამდვილად არსებობს.

– რესურსი არსებობს, მაგრამ რამდენად შეძლებენ მის მიმხრობას, ალბათ ეს არის მნიშვნელოვანი.

– რა თქმა უნდა! თუმცა, ეს დამოკიდებული იქნება ოპოზიციის სტრატეგიაზეც და ტაქტიკაზეც. მათ ნაბიჯებზე ძალიან ბევრი რამე იქნება დამოკიდებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება, რამდენად სოლიდურად წარმოჩინდება ოპოზიცია, რამდენად შესთავაზებს ის ამომრჩეველს თავს, როგორც რეალურ ალტერნატივას. შეძლებს კი ამას?!

პიარის თვალსაზრისით ბევრად უფრო უკეთესია, უფრო იზიდავს ამომრჩეველს ბლოკი, ერთობა. გაერთიანებაში ამომრჩეველი ყოველთვის უფრო მეტ ძალას ხედავს.

– გაერთიანება უფრო მუშაობს?

– რა თქმა უნდა! ელექტორალური თვალსაზრისით საარჩევნო გაერთიანება ყოველთვის უფრო უკეთესად მუშაობს, ვიდრე გათითოკაცებული პარტია. დღეს ვერავინ გეტყვით, „ევროპული საქართველო“ და ნაციონალური მოძრაობა ერთ ბლოკად გავა არჩევნებზე თუ არა. მათ იმიტომ გამოვყოფ, რომ დღევანდელი მოცემულობით სამი ძირითადი პარტიაა, ნაციონალური მოძრაობა, „ევროპული საქართველო“ და „ქართული ოცნება“, რომელთაც არ უჭირთ 3%-იანი თუ 5%-იანი ბარიერის გადალახვა.

ამ სამეულს ალბათ „ლელოც“ დაემატა, თუმცა, მას ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს დასამტკიცებელი.

შემდეგ მოდიან პატრიოტთა ალიანსი, ლეიბორისტები, რომელთაც ჰყავთ ერთგული ამომრჩეველი. ჯერ 5 თუ 6 პოლიტიკური ძალაა, რომელიც ახალ პარლამენტში მოხვდება.

– გამორიცხავთ გაზაფხულზე ვადამდელ არჩევნებს? ოპოზიცია იანვრიდან მწვავე პოლიტიკურ პროცესებს აანონსებს.

– გამორიცხვით არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. თუმცა, თუ ხელისუფლება ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს, ეს არ იქნება ოპოზიციის ფართომასშტაბიანი აქციების შედეგი.

– აბა რისი შედეგი იქნება?

– გადამწყვეტი იქნება „ქართული ოცნების“ რეიტინგი. კიდევ ერთი გადამწყვეტი ფაქტორი ექნება დასავლეთის პოზიციას. თუ „ქართული ოცნება“ იძულებული გახდება, რომ საარჩევნო სისტემა შეცვალოს, მაშინ მართლაც არ არის გამორიცხული, რომ სრულიად მოულოდნელად ჩანიშნოს ვადამდელი არჩევნები.

– დასავლეთიდან იქნება ასეთი ზეწოლა?

– ჯერ რასაც ვხედავთ, მოწოდება არის ერთი: ოპოზიცია და ხელისუფლება შეთანხმდნენ საარჩევნო სისტემაზე. ქვეყანაში რეალურად არსებობდეს ნორმალური სასამართლო და დეპოლიტიზებული პროკურატურა.

„არ ჩანს ძალა, რომელიც ივანიშვილს ქვეყნიდან გაქცევას აიძულებს“

ლევან ჩაჩუა: „ხაზარაძემ თავის „ლელოში“ პოლიტიკური ექსჰუმაცია მოახდინა“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას.

– ბოლო დროს ხელისუფლების ოპონენტები ხშირად ამბობენ, რომ მალე ბიძინა ივანიშვილს გასაქცევად ექნება საქმე. მას ადარებენ დიქტატორებს, რომლებსაც ქუჩებში გამოჰყავდათ მხარდამჭერები.

– ბიძინა ივანიშვილმა არ შეასრულა თავისი დაპირები, ვერ მოაგვარა პრობლემები. ამის მიუხედავად, არ ჩანს ძალა, რომელიც მას ქვეყნიდან გაქცევას აიძულებს.

ავიღოთ ოპოზიციური ერთობა. მასში 30-ზე მეტი პარტია შევიდა. ეს პოლიტიკოსები თითქმის 2 თვის განმავლობაში აწყობდნენ საპროტესტო აქციებს. თითო პარტიამ 500 კაცი ვერ გამოიყვანა. ესენი გააქცევენ ივანიშვილს?!

ეს პოლიტიკოსები 30 წელიწადია, პოლიტიკურ ჭაობში ტივტივებენ. მათ ხელში ქვეყანა გაპარტახდა, დაიშალა, მოსახლეობისგან დაიცალა. ამ ადამიანებს რესურსი არ ეყოფათ, ივანიშვილი გააქციონ. მას მშვიდობიანად დაამარცხებს სხვა, გაუსვრელი ადამიანებით დაკომპლექტებული ძალა, რომელიც არ ყოფილა არც ნაციონალურ მოძრაობასთან და არც „ქართულ ოცნებასთან“.

სამწუხაროდ, ეს ძალა არ შექმნილა.

– არჩევნებამდე ბევრი რამე მოხდება.

– რასაკვირველია. ასეთი ძალა შეიძლება შეიქმნას. ხალხს ოდიოზური, გასვრილი პოლიტიკოსები ყელში ამოუვიდა და ქვეყნის ღირსეული განვითარება უნდა.

– ახალი პარტია „ლელო საქართველოსთვის“ დაახლოებით მაგ ლოზუნგით გამოდის – „არც ნაცები, არც ქოცები“. ექსპერტები მას წარმატებას უწინასწარმეტყველებენ.

– მამუკა ხაზარაძემ თავის „ლელოში“ პოლიტიკური ექსჰუმაცია მოახდინა. მან საფლავიდან ამოთხარა ახალი მემარჯვენეები, ასევე დავით უსუფაშვილი, რომელიც ადრე რესპუბლიკელებს გამოეყო.

თვითონ ხაზარაძე ყველა ხელისუფლებასთან ახლოს იყო, თვითონ ქმნიდა და აფინანსებდა კონიუნქტურას. უსუფაშვილი ნაციონალებთანაც იყო და „ოცნებასთანაც“. ახალი მემარჯვენეები მოქალაქეთა კავშირიდან მოდიან. მევახშე ხაზარაძეს გამწარებული ჰყავს ათასობით ოჯახი. ოპოზიციის ერთ-ერთ მიტინგზე ერთმა დაზარალებულმა ახალგაზრდამ მას ალიყური უთავაზა. ამ ადამიანმა, რომლის ოჯახი უბინაოდ დარჩა, ხაზარაძეს სილა გაანწა და უთხრა, ხალხის სახელით ლაპარაკის უფლება არ გაქვსო.

თუ ვინმემ ღვთის დასაგმობი რამე შეთხზა, ინცესტით დაწყებული, სხვა პათოლოგიებით დამთავრებული, ხაზარაძემ ყველა დააჯილდოვა. ის ლიტერატურული კონკურსის „საბას“ სპონსორია. ვხვდები, რისთვის მოდის ის პოლიტიკაში.

– რისთვის?

– პოლიტიკური იმუნიტეტისთვის. დღევანდელ საქართველოში ხომ პოლიტიკოსები, უმეტესად, არ ისჯებიან! მაგალითად, გიგა ბოკერიას აქვს ფინანსური დარღვევები. ამავე რიგში არიან „ოცნების“ ყოფილი მაღალჩინოსნები – გიორგი კვირიკაშვილი, დიმიტრი ქუმსიშვილი და სხვა. ამათ პოლიტიკური იმუნიტეტი იცავს.

ფულის გათეთრების გარდა, ხაზარაძე მოიმიტომ გამოვყოფ, რომ ნაციონალური მოძრაობა, „ევროპული საქართველო“ და „ქართული ოცნება“ ერთ ბლოკად ერთ-ერთ ბანაკად ერთ-ერთ ბანაკად ერთ-ერთ ბანა

დავით ლორთქიფანიძე: „არ მგონია, კახა კალაძე „ოცნების“ ოპოზიციაში წავიდეს“

გულიკო ბალაძე

არის თუ არა პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილსა და ქალაქ თბილისის მერ კახა კალაძეს შორის ცუდი ურთიერთობა? არის თუ არა მოსალოდნელი ახალ წლამდე პარტია „ქართული ოცნების“ გაყოფა? „ახალ თაობას“ „ქართული ოცნების“ წევრი დავით ლორთქიფანიძე ესაუბრა.

– პატონო დავით, ჩემი რესპონდენტები მეუბნებიან, რომ „ოცნება“ შეიძლება (ახალ წლამდეც კი) გაიყოს და კალაძემ დატოვოს პარტია და ოპოზიციად ჩამოყალიბდეს. თქვენ, როგორც „ოცნების“ წევრს, რა ინფორმაცია გაქვთ?

– სხვათა შორის, მსგავსი ინფორმაციები პრესაში მინახავს. ამის თაობაზე სხვადასხვა ადამიანები წერენ. სიმართლე გითხრათ, გამორიცხული არასოდეს არაფერი არ არის, მაგრამ დღევანდელი მონაცემებით, არ მგონია, ის კონფიგურაცია მივიღოთ, რაზეც საუბრობენ, ანუ კალაძე „ოცნებას“ გამოეყოს.

ბოლოს დაიწერა, რომ „ოცნება“ სამ ნაწილად უნდა გაიყოს. შეიძლება ვიღაც წავიდეს პარტიიდან, მაგრამ არ მგონია, პარტიის ტრანსფორმაცია მოხდეს და სამ ნაწილად გაიყოს. მე ამას ვერ ვხედავ. შეიძლება, მე პროცესების ამგვარ განვითარებას ვერ ვხედავ, შეიძლება, არის რაღაც ქვედადინებები, მაგრამ მე მას ვერ ვხედავ.

ვფიქრობ კახი კალაძის შესახებ ხმაური მას შემდეგ დაიწყო, რაც კახიმ თქვა, რომ შეიძლება, ერთ დროს ოპოზიციაში იყოს, თუმცა, მან იქვე დაამატა, ჩემ პარტიასთან „ოცნებასთან“ ერთადო. ამას ყურადღებას არავინ აქცევს და ამბობენ, თითქოს ცალკე პარტიასთან ერთად იქნება ოპოზიციაში.

ნათქვამს კონტექსტიდან თუ ამოიღებ, შეიძლება ისეთი განსხვავება ნახო, როგორც ცა და დედამიწაა.

– გვარწმუნებენ იმაში, რომ „ოცნებაში“ გადაჯგუფებები დამთავრებულია და ელოდებიან კახი კალაძის ცალკე გასვლას და პარტიის დაფუძნებას. თან ამბობენ, რომ ბიძინა ივანიშვილსა და კახი კალაძეს შორის არ არის კარგი ურთიერთობა, სადღაც თურმე ბიძინა ივანიშვილმა კახა კალაძეს ხელი არ ჩამოართვა, მერობა არ მიულოცა. თქვენ ამგვარ ინფორმაციაზე რას ფიქრობთ?

– მე დავამატებ – კახა კალაძის არჩევნების დროს ბიძინა ხალხში არ დადიოდა და არ უწევდა რეკლამირებას. ამასაც ამბობენ. კახა კალაძის არჩევნების დროს ბიძინა ივანიშვილი არ იყო პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე და, არა მგონია, მისი პოლიტიკური აქტივობა სწორი ყოფილიყო.

– ბიძინა ივანიშვილი ხომ ამ პარტიის დამფუძნებელია?

– ბიძინა ივანიშვილი არის პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი და სულისჩამდგმელი, მაგრამ პოლიტიკურ აქტივობას აქვს თავისი დაუწერელი კანონები, თავისი წესები. ამის რაღაცასთან დაკავშირება სწორი არ მგონია. ამბობენ, ხელი არ ჩამოართვაო, ეს ყველაფერი იუმორის ფარგლებში უფრო არის.

– მე არაერთმა რესპონდენტმა მითხრა, რომ ბიძინა ივანიშვილმა კახი კალაძეს ხელი არ ჩამოართვა და მერობა არ მიულოცა.

– მე, მაგალითად, რამდენჯერმე მინახავს, რომ ბიძინა ივანიშვილს ხელიც ჩამოურთმევია და უფრო თბილი დამოკიდებულებაც გამოუხატავს. ზოგი ასე ხედავს, ზოგი – ისე. სხვათა შორის, მე მაქვს ხოლმე ასეთი წესი, ერთი და იგივე ადამიანი დღეში ხუთჯერ რომ ვნახო, სულ ვართმევ ხელს, რომ გარედან დამნახავმა არ იფიქროს, ხელს არ ართმევენ, ერთმანეთს არ ესალმებიანო. ამას ჩემი მეგობრები იუმორით უყურებენ, დღეში რამდენჯერ უნდა ჩამოგართვათ ხელიო.

შეიძლება ასე მოხდა კახისა და ბიძინას შემთხვევაშიც – მანამდე ჰყავდა ნანახი და ხელი აღარ ჩამოართვა. ხომ შეიძლება ასე იყოს.

– კახი კალაძე „ოცნებაში“ მძიმეწონიანი პოლიტიკოსია, ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, მერობის დროს მისმა მხარდამჭერებმა მოიმატა და ამიტომ, შეიძლება, ის „ოცნებას“ გამოეყოს, შექმნას პარტია, დაიჭიროს ოპოზიციური პარტიის ნიშა. ამით, შეიძლება, ოპოზიციურ პარტიებსაც წაართვას მხარდამჭერები.

– კახი მართლაც არის გამორჩეული ქალაქის მერი. ეს უდავოა.

– შემდეგ, თუ „ოცნებას“ კოალიციის შექმნა დასჭირდება, კახა კალაძესთან შექმნის კოალიციას. თქვენ ამგვარ კონფიგურაციას გამორიცხავთ?

– მე ამ კონფიგურაციას დღეს გამოვრიცხავ დღევანდელი მოცემულობით. პოლიტიკაში ნათქვამია, არასოდეს თქვა, არასოდეს. ხვალ და ზეგ რა მოხდება, ეგ არავინ იცის, მაგრამ დღევანდელი მოცემულობით, ჩართულობით, ურთიერთობებით, დღეს ამას გამოვრიცხავ.

– ამ სქემით, ბიძინა ივანიშვილს და გიორგი გახარიას ერთ მხარეს აყენებენ. აქ საინტერესოა, როგორი ურთიერთობები აქვთ გახარიასა და ივანიშვილს? თქვენ რა შეგიძლიათ თქვათ?

– ბიძინა ივანიშვილს კახისთანაც კარგი ურთიერთობა აქვს, პრემიერ გახარიასთანაც კარგი ურთიერთობა აქვს. კახი არის პარტიის გენერალური მდივანი. არ შეიძლება პარტიის თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრსა და პარტიის გენერალურ მდივანს კარგი ურთიერთობა არ ჰქონდეთ.

კარგი ურთიერთობა რომ არ ჰქონდეთ, როგორ იქნება? წელს, მაგალითად, თბილისის ბიუჯეტი მილიარდზე მეტია. თბილისის ბიუჯეტი ივსება ცენტრალური ბიუჯეტიდან. ეს ერთმანეთთან თავსებადი არ არის – ყველაფერი არარეალურია. ამიტომ არა მგონია, გაყოფაზე საუბარი რელევანტური იყოს.

– „ოცნებიდან“ წასულებზეც მინდა გკითხოთ – მაგალითად, ბესელია და ზოგი სხვა, რომლებიც დღეს ე.წ. ნაცმოძრაობასთან ოპოზიციურ მაგიდას მიუსხდნენ, ერთ დროს „ოცნების“ თავგანწირული დამცველები იყვნენ, როგორ ფიქრობთ, მაშინ ხმამაღლა რატომ არ გამოხატავდნენ პროტესტს, ვთქვათ, სასამართლო სისტემასა და სხვა ნაკლოვანებებზე? რატომ ახმაურდნენ ისინი „ოცნების“ მეორე ვადის მიწურულს და არა 2014-15 წლებში?

– პერსონიფიცირებისაგან თავს შევიკავებ. ფაქტია, რომ გუნდის შიგნით (ისე, როგორც ღიად) შეხვედრების დროს ზოგი დეპუტატი უფრო აქტიურია, ზოგი უფრო პასიური. აქტიურობა და პასიურობა ადამიანის თვისებებზეა დამოკიდებული. ის, ვინც დღეს „ოცნებიდან“ წასულია, მათ შორის, ზოგიერთი შიდა შეხვედრების დროს ნამდვილად აყენებდა პრობლემატურ საკითხებს.

– თქვენ იმ დროს დეპუტატი იყავით, გახსოვთ ვთქვათ, სასამართლო სისტემაზე მათი პროტესტი, ვინც პარტია „ქართული ოცნებიდან“ დღეს წასულია?

– როგორ არა, უმრავლესობის ან ფრაქციის დახურული შეხვედრები როცა იყო. ბევრად უფრო ხმაურიანი შეხვედრები იყო, ვიდრე გარეთ ჩანდა. ეს ჩვეულებრივი ამბავია.

– „ოცნების“ ხელმძღვანელობამ რატომ არ გაითვალისწინა? იგივე სასამართლოს მდგომარეობაზე ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ამერიკაც გვაკრიტიკებს. ყველა ჩვენს სასამართლო ხელისუფლებასა და მის უბედურებებზე საუბრობს.

– ვფიქრობ, ყველაფრის გათვალისწინება ცოტა რთული იქნებოდა, მაგრამ რაღაცები გაითვალისწინეს. ეგ ცოტა რთული თემაა.

– ახალ წლამდე ცოტა დრო დარჩა. ყოველ შემთხვევაში, ახალ წლამდე, ალბათ, არ უნდა ველოდოთ „ოცნების“ დაშლისა და გაშლის მსგავს ქმედებებს?

– ახალ წლამდე, რა თქმა უნდა, არა. არც ახალი წლის შემდეგ ველოდები „ოცნების“ დაშლას. პერსპექტივაში რა იქნება, ვერ გეტყვით.

მარიამ კუბლაშვილი: „თამთა თოდაძის და მისი დედის ჩვენებები იდენტური და დაკოპირებულია“

გუშინ, 25 დეკემბერს, დაიწყო სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებაში ბრალდებულ ილია ჯიშკარიანის საქმის არსებითი განხილვა.

ჯიშკარიანის ადვოკატი მარიამ კუბლაშვილი აცხადებს, რომ მიიღეს ექსპერტიზის შედეგი, რომლითაც დასტურდება, რომ თამთა თოდაძისა და მისი დედის ჩვენებები არის იდენტური და დაკოპირებული.

– აღნიშნული ექსპერტიზა არის პირდაპირი პასუხი იმისა, რომ ერთი პირის მხრიდან არის შესრულებული თამთა თოდაძის მიერ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება და მასთან ერთად დედის მიერ მიცემული ჩვენება, რომელიც არაპირდაპირი მოწმეა.

ბრალდების დადგენილება დაეყრდნო ერთადერთ პირდაპირ მტკიცებულებას, თამთა თოდაძის ჩვენებას, რომელიც მან გამოძიებას მისცა. აღნიშნული ჩვენება გახლავთ არასარწმუნო, პირდაპირ წერია ამ დასკვნაში, რომ კოპირების გზით არის შესრულებული ერთი ადამიანის მიერ, ანუ გამომძიებელი უთითებდა, გამომძიებელმა დაწერა, მას არ მოუსმენია თამთასთვის, განავრცო, სამართლებრივად დაასაბუთა, დაამძიმა და აქედან გამომდინარე მან შინაარსის გაცნობა ვერ მოახერხა.

– ეს ექსპერტიზის დასკვნა დღეს იქნა წარმოდგენილი. დღეს მე რისი წარუდგინეს ილია ჯიშკარიანს ბრალი, – განაცხადა ადვოკატმა კუბლაშვილმა.

მისი აზრით, სასამართლომ არ უნდა გაიზიაროს აღნიშნული მტკიცებულება.

– ერთადერთი მთავარი მტკიცებულება დაინგრა. რას უნდა ნიშნავდეს აღნიშნული, თუ არა გამომძიებლის უფლებამოსილების გადამეტებას, მისი მხრიდან მითითებას, რის საფუძველზეც შეიქმნა ბრალდების დადგენილება? – ეს არის პირდაპირი დარღვევა, – აღნიშნა ადვოკატმა.

მისივე თქმით, ის მომხრეა, რომ თამთა თოდაძემ პასუხი აგოს და მას ზიანის ანაზღაურება დაეკისროს.

***

ილია ჯიშკარიანის საქმის პროკურორი თამარ იაკობიძე აცხადებს, რომ დაცვის მხარემ ჩვენებასთან დაკავშირებული ექსპერტიზის დასკვნა 25 დეკემბერს წარმოადგინა, შესაბამისად, შემოწმებაც მევალებოდა, დასაშვებობასთან დაკავშირებით პოზიცია რომ მქონოდა, ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ შემემოწმებინა თარიღი. სამწუხაროდ, დოკუმენტის შინაარსის გაცნობა ვერ მოვასწარი, აქედან გამომდინარე მათ მტკიცებულებას გავეცნობი.

ეს მტკიცებულება არის როგორც სადავო მტკიცებულება, შესაბამისად, საინტერესო იქნება, თუ ეს დასკვნა სიმართლეა, ექსპერტმა რის საფუძველზე იხელმძღვანელა, – განაცხადა პროკურორმა.

მისი თქმით, ბრალდების მხარეს მტკიცებულებები გააჩნია, რითაც დაადასტურებს ილია ჯიშკარიანის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენას.

– საუბარია დაზარალებულის ჩვენებაზე, ექსპერტიზის დასკვნაზე, გარკვეულ დასკვნებს კიდევ ველოდებით, ფსიქოლოგიურ ექსპერტიზას, რაც ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულება იქნება სხვა მტკიცებულებებთან ერთად, ამასთანავე ვიდეოჩანაწერები, რომლებიც დაზარალებულის გადაადგილებას ასახავს, პატრულის სამხრე ვიდეოკამერები, რომლებიც დაზარალებულის ემოციურ მდგომარეობას ასახავს, – აღნიშნა პროკურორმა.

ჩაქვთან ავარიაში 5 მოსწავლე დაიღუპა

გუშინ, 25 დეკემბერს, ჩაქვთან, სოფელ ხალაში, ავტოავარიის შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა.

ხუთივე გარდაცვლილი 17 წლამდე მოზარდია.

ავტომანქანა გზიდან ხევში გადავარდა.

თვითმხილველების თქმით, ავტომანქანა 10 მეტრის სიმაღლიდან გადავარდა. ადგილზე სასწრაფო, სამაშველო სამსახური და პოლიცია იყო მობილიზებული.

შემთხვევის ადგილზე დასახმარებლად პირველად ჩაქვისთავში არსებული წყალსაცავის თანამშრომლები მივიდნენ.

როგორც ჩაქვის №1 საჯარო სკოლის დირექტორმა ტარიელ ქათამაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, სკოლის ერთ-ერთ მოსწავლეს მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა გაკვეთილების შემდეგ მანქანით მოაკითხა, რის შემდეგაც ისინი ავტომობილით ერთ-ერთ ხეობაში წავიდნენ.

– მე-6 გაკვეთილის შემდეგ, სამს წუთები აკლდა, ჩემი სკოლის ერთ-ერთ მოსწავლის მეგობარს თავისი ბიძის მანქანით მოუკითხია. შემდგომ ისინი ერთ-ერთ ხეობაში, ჩაქვის თავში წასულან და ხრამში მაღალი სიჩქარის გამო, დაახლოებით 10 მეტრის სიმაღლიდან, გადავარდნილან. მანქანა ამობრუნებული დავარდნილა და სუყველა ადგილზევე დაღუპულან, – განაცხადა ტარიელ ქათამაძემ.

ხუთივე დაღუპული თანატოლები, მე-11 კლასელები იყვნენ. როგორც დგინდება, ორი მათგანი ჩაქვის №1 საჯარო სკოლაში სწავლობდა, ერთი კი – ჩაქვის სასულიერო გიმნაზიის მოსწავლე გახლდათ.

შს სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მერვე ნაწილით – ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

მორის მაჩალიკაშვილისა და ბეჟან ლორთქიფანიძის სასამართლო პროცესი გადაიდო



თბილისის საქალაქო სასამართლოში 20 ივნისის საქმეზე დაკავებული მორის მაჩალიკაშვილისა და ბეჟან ლორთქიფანიძის სასამართლო პროცესი გადაიდო.

სხდომა 14 იანვარს, 11:00 საათზე გაიმართება.

პროკურორი სხვა პროცესის გამო ამ პროცესზე ვერ გამოცხადდა და სასამართლო სხდომა ამიტომ გადაიდო.

პროცესზე რამდენიმე მოწმე უნდა დაეკითხათ.

როგორც ჟურნალისტებს მალხაზ მაჩალიკაშვილმა განუცხადა, ყველა პროცესზე ერთი და იგივე ხდება და რეალურად არ არის მოწმე, რომელიც მორის მაჩალიკაშვილის ბრალეულობას დაამტკიცებს.

ზუგდიდში ბესო ერემაძის სახლში მუშა დაიღუპა

მას თავში ვედრო დაეცა

ზუგდიდის სოფელ ჭაქვინჯში ჭის წმენდისას 55 წლის მამაკაცი დაიღუპა. შემთხვევა გუშინ, 25 დეკემბერს, მოხდა.

ჭის გაწმენდის დროს, მუშას მიწით სავსე ვედრო დაეცა.

– ჭის მწმენდავები მუშაობდნენ. ვედროს სახელური მოწყდა და ჭაში მყოფს თავზე დაეცა. ეს ხალხი სოფელში სულ დადის და ჭებს წმენდს, გუშინაც მუშაობდნენ აქვე სამეზობლოში. ასეთი ტრაგედია დატრიალდა სამწუხაროდ. ექსპერტები წინასწარი მონაცემებით ამბობენ, რომ ეს უბედური შემთხვევაა, – ამბობს ბესო ერემაძე, რომლის სახლშიც მოხდა უბედური შემთხვევა.

მისივე ინფორმაციით, ცხედარი ექსპერტიზაზე ქუთაისშია გადასვენებული.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 116-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

ლუკაშენკომ რუსეთს ბელარუსის შემადგენლობაში შესვლა შესთავაზა

ბელარუსის პრეზიდენტმა, ალექსანდრე ლუკაშენკომ რუსეთს ბელარუსის შემადგენლობაში შესვლა შესთავაზა.

– ძალიან მარტივი ვარიანტია, რომელსაც რუსეთშიც და ბელარუსშიც მიიღებენ. თქვენ შემოგვიერთდებით ბელარუსში. რა, წინააღმდეგი იქნებიან რუსები? არა. ბელარუსები, ისინი, ვინც ახლა ასე გაბრაზებულები არიან? – არა, – განაცხადა ლუკაშენკომ „ეხო მასკვის“ ეთერში.

– თქვენ ზოგიერთები, რომლებიც გვეპატიჟებით რუსეთის შემადგენლობაში, რატომ არ განიხილავთ ამ ვარიანტს? – დასძინა პრეზიდენტმა.

იქამდე ბელარუსის ლიდერმა განაცხადა, რომ მოსკოვი მინსკზე ზეწოლას ახორციელებს.

ლუკაშენკოს თქმით, ის არასდროს დათმობს თავისი ქვეყნის სუვერენიტეტს. რადიო „ეხო მასკვისთან“ ინტერვიუში ალექსანდრე ლუკაშენკო აცხადებს, რომ თუ მოსკოვი შეეცდება დაარღვიოს ბელარუსის სუვერენიტეტი, საერთაშორისო თანამეგობრობა მას სათანადო პასუხს გასცემს.

– თუ რუსეთი ეცდება ჩვენი სუვერენიტეტის დარღვევას, იცით, ამაზე რა რეაქციაც ექნება საერთაშორისო თანამეგობრობას. ეს ყველაფერი ომში ჩაგვითრევს. დასავლეთი და ნატო ამას არ დაუშვებენ, იმიტომ, რომ ეს მათთვისაც საფრთხე იქნება და, გარკვეულწილად, მართლებიც იქნებიან, – განაცხადა ლუკაშენკომ.

კრემლში ბელარუსის პრეზიდენტის განცხადებას მკვახედ უპასუხეს.

– მოლაპარაკებები, რომლებიც ერთი თვის წინ სოჭში და მოლაპარაკებები, რომლებიც სანკტ-პეტერბურგში რამდენიმე დღის წინ გაიმართა, ჩვენი აზრით, საპირისპიროს მიანიშნებს, – განაცხადა კრემლის პრესსპიკერმა, დიმიტრი პესკოვმა.

მისივე თქმით, ქვეყნებმა „ტიტანური შრომა გასწიეს“, რომ შეთანხმებულიყვნენ პაკეტზე, რომელიც ორი ქვეყნის ინტეგრაციასა და გაძლიერებას უზრუნველყოფდა.

– ნათელია, რომ კონტაქტი გაგრძელდება. ინტეგრაციის დონე ისე მაღალია ქვეყნებს შორის და ისინი ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ შესაძლოა, გარკვეული პრობლემები იყოს, მაგრამ მთლიან სურათს ეს ვერ გააფუჭებს, – განაცხადა პესკოვმა.

რუსეთის ფედერალური საბჭოს ეკონომიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კალაშნიკოვმა კი განაცხადა, რომ ლუკაშენკოს რუსეთ-ბელარუსის სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნა არ სურს და მხოლოდ ამ გაერთიანების იმიტაციას ეწევა, რათა რუსეთი ეკონომიკურად წაროს.

– ბელარუსის პრეზიდენტს იუმორის გრძნობაც ჰქონია! ვურჩევ, ნაადრევად ნუ გაიცინებს, ეს მისთვის შეიძლება ცუდად დამთავრდეს, – თქვა კალაშნიკოვმა.

ოდესაში ამერიკული ავიამზიდი შევიდა

ოდესაში ამერიკული ავიამზიდი შევიდა. ის უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალებთან ერთობლივ წვრთნას გამართავს.

ამერიკული სამხედრო ხომალდის გამოჩენას რუსები ძალზე აგრესიულად შეხვდნენ.

როგორც კი ხომალდი რუსეთის ტერიტორიულ წყლებში შევიდა, ორი რუსული ავიაგამანადგურებელი ცაში აფრინდა და ხომალდის მახლობლად სახიფათო მანევრები დაიწყო.

რუსების აგრესიის პასუხად ამერიკული ხომალდის კაპიტანმა სრული საბრძოლო მზადყოფნა გამოაცხადა. რუსებმაც შეტევა ვერ გაბედეს და უკან დაიხიეს.

ამერიკული გემი ოდესის პორტში დაუბრკოლებლად შევიდა.

კანადაში ძლიერი მიწისძვრა მოხდა

კანადაში 6,3 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. მიწისქვეშა ბიძგები პორტ ჰარდის დასავლეთით, 177 კილომეტრში დაფიქსირდა.

ჯერჯერობით, ცნობები ნგრევისა და დაშავებულთა შესახებ არ ვრცელდება.

ბიძგები იგრძნობოდა ვანკუვერშიც. შესაბამისი სამსახურების ინფორმაციით, ჯერჯერობით, ცუნამის საშიშროება არ არსებობს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

ფოსტალიონმა საჩუქრები დაარიგა და გადაღლილობისგან გარდაიცვალა

ბრიტანელი ფოსტალიონი 12-საათიანი სამუშაო დღის შემდეგ, რომლის დროსაც წერილები და საშობაო საჩუქრები დაარიგა, გარდაიცვალა.

ინგლისის ესექსის საგრაფოს 42 წლის მკვიდრი პოლ კრაში საფოსტო ფირმაში მძღოლად მუშაობდა. იმის გამო, რომ შობის წინ უამრავი ამანათი დაგროვდა, რომლებშიც მისალოცი ბარათები და საშობაო საჩუქრები იდო, დამსაქმებელმა სამუშაო ნორმატივები გააორმაგა. დღეში დაშვებული ასი წერილის ნაცვლად, მძღოლებს 240 წერილისა და ამანათის დარიგება უწევდათ. მათ ასეთ რეჟიმში თითქმის შვიდი კვირა მოუწიათ მუშაობა.

ოთხშაბათს, 18 დეკემბერს, კრაშმა თავისი სმენა გახსნა. კოლეგები იხსენებენ, რომ ის იმ დღეს დაღლილად გამოიყურებოდა და დაიჩივლა, რომ დილით ძლივს გაიღვიძა. როდესაც კრაში 12-საათიანი დამღლელი მუშაობის შემდეგ ოფისში დაბრუნდა, მას გულის შეტევა დაემართა და ადგილზე გარდაიცვალა.

მოგვიანებით დადგინდა, რომ კრაში ბუნებრივი მიზეზებით გარდაიცვალა, თუმცა მისი ახლობლები დარწმუნებულები არიან, რომ მისი გარდაცვალების მიზეზი დამღლელი მუშაობა გახდა.

– ეს იყო მისი პრობლემა. ის იმ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდა, რომლებიც უარს არასოდეს ამბობენ ზედმეტ სამუშაოზე, – აცხადებენ მისი ახლობლები.

კრაშს მეუღლე და ორი შვილი დარჩა. თანამშრომლებმა და მისმა მეგობრებმა ოჯახს მიუსამძიმრეს და ინტერნეტით შემოწირულობის სახით ფულის შეგროვება დაიწყეს დასაფლავებისა და ოჯახის სხვა ხარჯების დასაფარავად.

პაბმა მომხმარებლებს გაყინული ლუდის ალოკვა შესთავაზა

ლონდონურმა ლუდსახარშმა პაბმა გახსნა სასტუმრო, რომლის კედლები გაყინული ლუდისგანაა დამზადებული.

პაბის მომხმარებლებს შეუძლიათ კომპანია გრინ კინგის ახალი სახის პეილ-ელია დააგემოვნონ ან ბოთლებით, ან გაყინული სახით. ადმინისტრაცია დაწესებულების სტუმრებს თავაზობს, ყინულის კედლები ალოკონ, რომლის შესაქმნელად ათას ლიტრზე მეტი გაყინული ელი იქნა გამოყენებული.

სასტუმროს სტუმრებს მისცემენ საძინებელ ტომრებს, თბილ ყელსახვევებს და ხელთათმანებს, რათა მათ თავი კომფორტულად იგრძნონ.

სასტუმროს დამფუძნებლებმა განაცხადეს, რომ დაწესებულებაში ღამის გათევა შეუძლიათ პაბის მომხმარებლებს, რომლებიც ადგილზე გვიანობამდე შემორჩნენ და მისი დაკეტვის შემდეგ სახლში წასვლა არ სურთ.

სინდი კროუფორდის ქალიშვილმა სელფი საცვლების ამარამ გადაიღო

სინდი კროუფორდის ქალიშვილმა, ამერიკელმა სუპერმოდელმა კაია გერბერმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე საკუთარი ფოტოსურათი გამოაქვეყნა, რომელშიც ის საცვლების ამარაა გადაღებული.

მაქმანებიან გამჭვირვალე თეთრი ფერის ფრანგული ბრენდის შიმონე Perele-ს ბიუსჰალტერში გამოწყობილმა კაიამ საკუთარ თავს სურათი სააბაზანო ოთახის სარკეში გადაუღო. მოდელს ხელში კოსმეტიკური მარკის Yves Saint Laurent Beauty-ს კონსილერი Touche Eclat-ი უჭირავს, ხოლო თითზე რამდენიმე ბეჭედი უკეთია.

გერბერის თაყვანისმცემლები მისმა ახალმა ფოტოსურათმა აღაფრთოვანა და შესაფერისი კომენტარებიც არ დაიშურეს.

– შთამბეჭდავი ხარ, კაია! – აღფრთოვანება ვერ დამალა მისმა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა.

– შენი სახე უბრალოდ იდეალურია, – აღნიშნა მეორე ინტერნეტმომხმარებელმა.

– ახლა კი მინდა ერთი შეკითხვა დაგისვა. ანგელოზო, შენთვის მტკივნეული იყო ზეციდან დედამიწაზე ჩამოვარდნა, – დაწერა კომენტარში ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა.

მამაკაცმა ბანკი გაძარცვა და ფული ქუჩაში მიმოაბნია შეძახილით: „შობას გილოცავთ!“



ამერიკის ქალაქ კოლორადო-სპრინგსის მცხოვრებმა ბანკი გაძარცვა, შემდეგ ქუჩაში გამოვიდა და ფული ირგვლივ მიმოფანტა.

ორშაბათს, 23 დეკემბერს, 65 წლის დევიდ უეინ ოლივერი „ბენკ აკადემის“ განყოფილებაში შესვენების დროს შევიდა, მოლარეს უთხრა, რომ შეიარაღებული იყო და ფული წაიღო.

ამის შემდეგ ოლივერი ქუჩაში გამოვიდა და ფულის მიმოფანტვა დაიწყო შეძახილით: „შობას გილოცავთ!“ ამის შესახებ განაცხადა გამვლელმა დაიონ პასკალმა. მისივე თქმით, თვითმხილველებმა მიმოფანტული ფულები აკრიფეს და მოლარეს დაუბრუნეს.

ფულის ქუჩაში მიმოფანტვის შემდეგ მამაკაცი იქვე, მეზობლად მდებარე კაფეში შევიდა და პოლიციის მისვლას იქ დაელოდა. შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა ის ძარცვის ბრალდებით დააკავეს.

გზაზე გაჩენილ ორმოში ოთხი ადამიანი ჩავარდა

ჩინეთის გუანსი-ჩჟუანსის ავტონომიური რაიონის ქალაქ ნანინში გამვლელები მოულოდნელად გაჩენილ ორმოში ჩაცვივდნენ.

შაბათ საღამოს ორ საცხოვრებელ სახლს შორის მიწის ჩავარდნა მოხდა. ვიდეორგოლში ჩანს, რომ ადამიანი ტროტუარზე მიდის და მოულოდნელად ასფალტის ქვეშ ვარდება, თუმცა ორმოდან მალევე აღწევს თავს.

რამდენიმე წამის შემდეგ კიდევ სამი მამაკაცი უახლოვდება წარმოქმნილ ორმოს და ისინიც მასში ვარდებიან. მათ კვალდაკვალ ორმოში იქვე გაჩერებული სკუტერიც ვარდება.

ორმოში ჩავარდნილებს ამოსვლაში გამვლელი დეხმარა. არც ერთ მათგანს სერიოზული დაზიანება არ მიუღია.

სამი მეტრი დიამეტრისა და ერთი მეტრი სიღრმის ორმო, სავარაუდოდ, მიწისქვეშა სადრენაჟო სისტემიდან წყლის გაჟონვამ გამოიწვია. ადგილობრივმა ხელისუფლებამ წყალი ჩაკეტა და აღდგენით სამუშაოებს აწარმოებს, რომელიც 3 იანვრისთვის დასრულდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკო-ბიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

თორნიკე შენგელია: „ნბა-ში თამაში ჩემი მიზანია“

ნბა-ს ვებგვერდზე საშობაო ჩანახატი გამოაქვეყნა რუბრიკაში – ძვირფასო სანტა, ნბა-ში თამაში მსურს. ამ რუბრიკამ ჩვენი ინტერესი იმიტომ გამოიწვია, რომ საუბარი ქართველ კალათბურთელზე, თორნიკე შენგელიაზეც არის.

ვნახოთ რა წერია სტატიაში:

– ევროლიგაში ბევრი ვარსკვლავი თამაშობს. ეჭვგარეშეა, რომ ნბა-ს შემდეგ პლანეტის საუკეთესო ლიგაა. ხერარდ სოლეს ეს სტატია რუბრიკის სადებიუტოა და ის იმ კალათბურთელებს ეძღვნებათ, რომელთაც მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში დაბრუნება, ან გადასვლა შეუძლიათ.

ამ სტატიაში იმ მოთამაშეებზე ვწერთ, რომლებიც ევროპაში კაშკაშებენ და მათი სახელები, შესაძლოა, ნბა-ს მენეჯერებს მონიშნულიც კი აქვთ – სტატია კი თორნიკე შენგელიას (ბასკონია), შეინ ლარკინს (ეფესი), ნიკოლა მილუტინოვს (ოლიმპიაკოსი), ფაკუნდო კამპაცოს (რეალი) და ლორენცო ბრაუნს (ცრვენა ზვეზდა) ეძღვნება.

ჩამოთვლილთაგან, ჩვენ ქართველი კალათბურთელი გვაინტერესებს...

თორნიკე შენგელია (ბასკონია): მძიმე ფორვარდი, 206 სმ, 28 წლის

28 წლის ასაკში შენგელიამ სპორტული ფორმის პიკს მიაღწია. ის კლუბის აბსოლუტური ლიდერია. 22 წლის ასაკში მას ბულსში და ნეთსში უთამაშია, ახლა კი ვიტორიაში ნამდვილი ევროპული ვარსკვლავია. ის კარგად მოერგო ბასკონიას მებრძოლ ხასიათს – ბრძოლა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. მას საუკეთესო სტატისტიკა აქვს – 18.0 ქულა, 6.2 მოხსნა და 20.1 მარგი ქმედების კოეფიციენტი.

მან გააუმჯობესა სროლის პროცენტი (42% სამიანები) და, რაც მთავარია, საჯარიმოები (75.4%). შარშან ის საჯარიმოებს 52%-ით ესროდა. შენგელია აკონტროლებს ბასკონიას თამაშის ტემპს და დომინანტია ფარქვეშ. მისი უნიკალური თვისებების გამო, შესაძლოა, ნბა-ს კარი მისთვის ისევ გაიღოს და შენგელია გახდეს ზაფხულში ერთ-ერთი სანუკვარი თავისუფალი აგენტი ამერიკული გუნდებისთვის.

იმავე ვებგვერდზე გამოქვეყნდა ინტერვიუ ქართველ კალათბურთელთან.

– ბასკონიაში თავს როგორ გრძნობთ, იქნებ თქვენს მაქსიმუმს მიაღწიეთ?

– თავს ისე ვგრძნობ, როგორც ჩემს მეორე სახლში. მომწონს, რომ უფრო ძლიერ გუნდებთან ბრძოლის შანსი მეძლევა. ყოველთვის არის რესურსი იმის, რომ კიდევ მოუმატო, მე არასდროს ვკმაყოფილდები მიღწეულით.

– რეალისა და ბარსელონას კალათბურთელებთან შედარებით, ბასკონიას მოთამაშისთვის გაცილებით რთულია ტიტულების მოგება. თქვენზე დაბალი დონის მოთამაშეები ტიტულებს დიდი ბრძოლის გარეშე იგებენ.

– ეს დიდი გამოწვევაა. ბუნებრივია, რთულია, როცა ვერ იგებ. თუმცა არ ვიცი, იქნებ ოდესმე მენტალობა შემეცვალოს, მაგრამ ახლა ასე ვფიქრობ – მირჩევნია ვითამაშო არაფავორიტ გუნდში და დავამარცხო ფავორიტები და ვაჯობო ამ გუნდების კალათბურთელებს. ეს ჩემთვის გამოწვევაა.

ბუნებრივია, სხვა კალათბურთელებს ძალიან დიდ პატივს ვცემ, თუმცა ჩემი გონება ახლა ასეა მომართული. თქვენ შეიძლება თქვათ, რომ რთულია ასე თამაში, მაგრამ ეს გამოწვევაა და მე ის მივიღე.

– რას იტყვით ნბა-ში დაბრუნების შესაძლებლობაზე, თუ ეს განვლილი ეტაპია და ფიქრობთ, არის რაღაც, რაც ჯერ საკუთარ თავს უნდა დაუმტკიცოთ და შემდეგ კი მსოფლიოს საუკეთესო ლიგას?

– რაც კალათბურთს ვთამაშობ, ნბა ყოველთვის ჩემი მიზანი იყო. მაგრამ უბრალოდ იქ ყოფნა არ მაკმაყოფილებს, მე თამაში მინდა. მიმაჩნია, რომ იქ თამაში საჭირო დროს საჭირო ადგილას ყოფნაზეა დამოკიდებული. ჩემი გამოცდილებით შემიძლია გითხრათ, თუ შენ ევროლიგის გამორჩეული კალათბურთელი ხარ და ნბა-ს სწორ გუნდში წახვალ, შენ შეგიძლია ბევრი სათამაშო წუთი მიიღო და კარგი სტატისტიკაც აჩვენო. მე კი სწორედ ამ შანსს ველოდები და თუ ის გამოჩნდება, ნბა-ში წავალ. თუ არადა, თავს აქაც ბედნიერად ვგრძნობ.

რაც კალათბურთს ვთამაშობ, მხოლოდ ერთი მიზანი მაქვს – ნბა-ში თამაში! მაგრამ მხოლოდ ნბა-ს კალათბურთელის სტატუსი არ მაკმაყოფილებს – იქ თამაში მინდა! დაბრუნება უნდა იყოს სწორ დროსა და სწორ ადგილზე.

– სულ უფრო მეტი ევროპელი მიდის ამერიკაში სათამაშოდ.

– ევროლიგა ძლიერდება და ჩვენ უფრო მეტად გვაფასებენ ამერიკაში – კალათბურთელებიც და ორგანიზაციებიც. ნბა-ს გუნდები სულ უფრო ენდობიან ევროპელებს და ევროპულ ბაზარზე ისინი სულ უფრო აგრესიულები ხდებიან.

– იანის ანტეტოკუმბო მვპ გახდა; ლუკა დონჩიჩი რასაც აკეთებს, ვხედავთ. რუდი გობერი ერთ-ერთი საუკეთესო მცველია. ევროპელები იპყრობენ ნბა-ს?

– ვერ ვიტყოდი, რომ იპყრობენ, ეს ძალიან ხმამაღალი ნათქვამი იქნებოდა. თუმცა ჩვენ უკეთესები ვხდებით და ამერიკელი კალათბურთელები, ნბა, ასოციაციები უფრო მეტ პატივს გვცემენ. თუ აქამდე ევროლიგიდან ნბა-ში მისულ კალათბურთელს 1-2 წელი შესაგუებლად ათამაშებდნენ, ახლა ასე აღარ არის. ძალიან ბევრმა დაამტკიცა, რომ ევროპიდან წასვლის შემდეგ პირველივე წელს შეუძლიათ ნბა-ში კარგად თამაში. მიმაჩნია, რომ ახალგაზრდა თაობისთვის ეს შესანიშნავია, რადგან ნბა უფრო მეტად ენდობა ევროპელ კალათბურთელებს და უფრო მეტად მიჰყავს ისინი.

– თქვენ ეროვნული ნაკრების კაპიტანი და ლიდერი ხართ. თუმცა ეროვნულ გუნდში თამაში ძალიან რთული და ჩახლართული გახდა. მაგალითად, სანაკრებო ფანჯრების გამო.

– ეს ისეთი საკითხია, რაზეც ახლა საუბარი არ მინდა. ინტერესთა კონფლიქტი ართულებს საქმეს. მე საქართველოს ნაკრების კაპიტანიც ვარ და ბასკონიისაც. ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, არის ის, რომ იმედი მაქვს, ორგანიზაციები დასხდებიან და რამე გამოსავალს მოიფიქრებენ. ეს საკითხი კალათბურთელებს ძალიან აწუხებთ და ვთვლი, რომ ეს ყველამ უნდა გააანალიზოს, გადაიდგას ნაბიჯები წინ, დავსხდეთ ერთად, ვისაუბროთ და მოვაგვაროთ პრობლემები.

– ევროპა და საბერძნეთი, მათი მდებარეობიდან გამომდინარე, ძალიან ბევრ პრობლემას აწყდებიან და ძალიან რთული სიტუაციაა, ძალიან ბევრი ვალდებულებით. მე ლტოლვილებზე, მიგრანტებზე ვსაუბრობ. როგორ ფიქრობთ, დასავლეთი სამყარო აკეთებს ყველაფერს პრობლემების მოსაგვარებლად?

– ყოველთვის ძნელია იმის ნახვა, როგორც იხოცებიან ახალგაზრდა ან ზოგადად, უდანაშაულო ადამიანები. თუმცა, მიმაჩნია, რომ არ მაქვს საკმარისი ცოდნა იმის შესახებ, თუ ზუსტად რა და როგორ ხდება. ამიტომ, მწირი ინფორმაციიდან გამომდინარე, ამ საკითხზე განცხადების გაკეთება არ შემიძლია.

– რა არის თქვენი უდიდესი ოცნება პარკეტსა და ცხოვრებაში?

– პარკეტზე მინდა რაც შეიძლება ბევრი ტიტულის მოგება, ცხოვრებაში კი ჩემი შვილების წარმატება მინდა ვნახო. არ აქვს მნიშვნელობა, რა გზას აირჩევენ, უბრალოდ, მინდა ისინი წარმატებულები ვნახო.

ოჯახი ჩემთვის ყველაფერია. სიტყვებით არ შეიძლია იმის ახსნა, თუ რას ნიშნავს ის ჩემთვის. მე ძალიან რელიგიური ადამიანი ვარ, ღმერთი ჩემთვის პირველია, მერე კი ოჯახი მოდის. მე დიდი ოჯახი მყავს და მხოლოდ დედას, მამასა და ჩემს დას არ მოიცავს. მე ბევრი ბიძაშვილი და დეიდაშვილი მყავს. მათთან ერთად გავიზარდე და ჩემს დებად და ძმებად ვთვლი.

ახლა ახალი როლიც მაქვს ოჯახში, მამა ვარ და ეს ძალიან მომწონს.

წლის საუკეთესო სპორტსმენი ლაშა ტალახაძეა

სპორტულმა ჟურნალისტებმა წლის საუკეთესო სპორტსმენად ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ძალოსანი ლაშა ტალახაძე აირჩიეს. ტალახაძე გახდა პირველი სპორტსმენი, რომელიც ასოციაციამ ზედიზედ მეოთხედ გამოარჩია. წლის საუკეთესო სპორტსმენი სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა მიხეილ აბაიშვილმა დააჯილდოვა.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და კომპანია ლიდერებეთთან ერთად 2019 წელი შეაჯამა. ცნობისთვის, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის გამოკითხვა 1964 წლიდან ტარდება.

ტალახაძემ წელს 2 დიდი ტურნირი მოიგო – მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები. ამასთან, ორივე ტურნირზე მსოფლიოს რეკორდები დაამყარა. გამოკითხვაში მე-2 ადგილი 2019 წლის მსოფლიო ჩემპიონს, თავისუფალი სტილით მოჭიდავე გენო პეტრიაშვილს ერგო, ხოლო მე-3 ადგილი მსოფლიოს, ევროპისა და ევროპული თამაშების ჩემპიონს, ძიუდოისტ ლუხუმ ჩხვიმიანს. გაზეთ „ახალი თაობის“ ვერსიით სამეული ასეთი იყო – ტალახაძე, ჩხვიმიანი, პეტრიაშვილი.

საუკეთესოები გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციებში.

ჟურნალისტების რჩეული საუკეთესო სპორტსმენი ქალი ძიუდოისტი ეთერ ლიპარტელიანი გახდა. ლიპარტელიანმა მიმდინარე სეზონში ახალგაზრდული მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები მოიგო. ლიპარტელიანმა სამბისტ ნინო ოძელაშვილსა და ტყვიის მსროლელ ნინო სალუქვაძეს აჯობა. აქ ჩვენი სამეული ასეთი იყო – ლიპარტელიანი, ევროპული თამაშების ვერცხლის პრიზიორი, ბატუტზე მხტომელი ლუბა გოლოვინა და ჩოგბურთელი მარიამ ბოლქვაძე, რომელმაც უიმბლდონზე საკვალიფიკაციო ეტაპზე იასპარეზა, ხოლო ამერიკის ღია პირველობაზე კვალიფიკაციაც დაძლია და ძირითადი ბადის პირველ წრეც.

საუკეთესო გუნდად ძალოსნობის ეროვნული ნაკრები დასახელდა, მე-2 ადგილი თავისუფალი სტილით მოჭიდავეების ნაკრებს ერგო, ხოლო მე-3 ადგილი – წყალბურთელთა ნაკრებს. ჩვენ აქ აქცენტი უფრო გუნდურ სახეობებზე გავაკეთეთ და პირველ ადგილზე წყალბურთელთა ნაკრები გავიყვანეთ, მე-2 ადგილზე ხელბურთელთა ეროვნული გუნდი, ხოლო მე-3 ადგილზე თბილისის დინამოს წყალბურთელთა გუნდი, რომელიც ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობს.

საუკეთესო ახალგაზრდად საქართველოს ნაკრებისა და ნბა-ს გუნდ ინდიანა პეისერსის კალათბურთელი გოგა ბითაძე დასახელდა. გოგამ დიდი უპირატესობით აჯობა ეთერ ლიპარტელიანსა და ძიუდისტ ლუკა მაისურაძეს. ჩვენც დაახლოებით ასეთი სამეული გვქონდა, მხოლოდ მაისურაძის ნაცვლად, კრივში ევროპის ვერცხლის პრიზიორი საჰილ ალაჰვერდოვი გვყავდა შეყვანილი.

წლის საუკეთესო მწვრთნელი კი ძალოსნობის ნაკრების თავკაცი, ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძე გახდა. მე-2 ადგილზე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელი გიორგი იანტბელიძე გავიდა, ხოლო მე-3 ადგილზე წყალბურთელთა ნაკრებისა და თბილისის დინამოს მწვრთნელი რევაზ ჩომახიძე. ჩვენ სამეულში ადგილები ჰქონდათ გაცვლილი ჩომახიძესა და ასანიძეს.

გია ცეცაძე ახალგაზრდულ ნაკრებს აღარ გაწვრთნის

საქართველოს 21-წლამდელთა საფეხბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გია ცეცაძემ თანამდებობა დატოვა. ამის შესახებ ინფორმაცია ფეხბურთის ფედერაციამ გაავრცელა.

– საქართველოს 21 წლამდელთა ნაკრებს გია ცეცაძე აღარ უხელმძღვანელებს. მიუხედავად ფეხბურთის ფედერაციის უდიდესი სურვილისა, გამოცდილ სპეციალისტთან თანამშრომლობა გაეგრძელებინა, მან გადაწყვიტა, რომ თავისი სამწვრთნელო კარიერა სხვაგან გააგრძელოს. აღნიშნული ფაქტი ჩვენთვის ძალზე სამწუხაროა, მაგრამ პატივს ვცემთ გია ცეცაძის გადაწყვეტილებას.

როგორც მოგეხსენებათ, გია ცეცაძე 21 წლამდელთა ნაკრებს 2017 წლიდან წვრთნიდა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია კიდევ ერთხელ მადლობას უხდის გია ცეცაძეს გაწეული სამსახურისთვის და წარმატებას უსურვებს მომავალ საქმიანობაში.

შეგახსენებთ, რომ უეფას სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ცეცაძე 5-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. არადა, საქართველოს 21 წლამდე ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე სწორედ 5 მატჩი აქვს დარჩენილი. ცეცაძის გადადგომით შეიცვალა მხოლოდ ის, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ახალ მწვრთნელს დისკვალიფიკაცია არ გადაყვება, ხოლო ცეცაძემ, სადაც არ უნდა იმუშაოს, უეფას ეგიდით ჩატარებულ 5 შეხვედრაში ტრიბუნებზე მოუწევს ჯდომა.

როგორც გითხარით, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ზუსტად 5 მატჩი აქვს დარჩენილი: შინ სლოვაკეთთან, საფრანგეთთან, შვეიცარიასა და აზერბაიჯანთან, ხოლო სტუმრად – ლიხტენშტაინთან. საქართველოს ნაკრებს 5 თამაშში 6 ქულა აქვს და ჯგუფში მე-3 ადგილზეა.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

გახსენება

მიძღვნილი დედის, ქალბატონ თამარ ხოხონიშვილი-ანდრიაძის დაბადებიდან 100 წლის შესრულებასთან

დედას

ქართველი დედის არსის
სახიერება იყავ,
მადლობას ვწირავთ უფალს, რომ
მოვლინება ქვეყნად შენგან
გვარგუნა, დედა!
ღვთის დადებული ჯვარი
ეზიდე ღირსეულად,
ქიზიყელ ქალის ნათელს
ასხივოსნებდი ყველგან.
მშობლიურ, ღვთიურ კუთხის
მადლი თან გდევდა მუდამ,
თვით უშურველად რასაც
უნაწილებდი ყველას.
ამაგისა და ღვაწლისთვის
მადლობას გწირავთ, დედა!
ხსოვნის დანთებულ
სანთელს შევცქერით,
ზენაარს შევთხოვთ შველას!

ილია და მირიან ანდრიაძეები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ლუდის გამონახარში, დანალექი; 2. საჭმელი სოკო; 3 ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. მინერალური წყალი იმერეთში; 6. გრიგოლ აბაშიძის რომანი; 8. კვების პროდუქტების მწარმოებელი ბრიტანული კომპანია; 10. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 12. გემრიელი საჭმელების მოყვარული ადამიანი; 14. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 15. ცნობილი თურქი ფეხბურთის მსაჯი; 16. ქართველი კინორეჟისორი.

თარაზულად: 1. ესპანური წესით დამზადებული შებოლილი ღორის ხორცი; 4. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ამერიკული ჯიში; 7. პოემა „სტუმარ-მასპინძელის“ პერსონაჟი; 9. ფეხბურთის სახელწოდება აშშ-ში; 11. ძალიან იშვიათი ნივთი; 12. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 13. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 17. ბასკური ხალხური თამაში ბურთით; 18. მოთელილი მატყლის ქსოვილი; 19. კოსმეტიკურ საშუალებათა ძველი ქართული სახელწოდება; 20. რომაელი ორატორი, ტრიბუნი, სახელმწიფო მოღვაწე.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჯულეპი; 2. კიოტო; 3. გრიზლი; 4. ჩუკაჩი; 6. ლალიონი; 9. ტოლმა; 11. დიხაშხო; 15. ლოენგრინი; 16. კოდაკი; 17. დეპარდიე; 19. ომმეტრი; 21. ბოკვერი; 22. დუღაბი.

თარაზულად: 5. იუპიტერი; 7. ალაზანი; 8. ტვენტე; 10. ჯონსონი; 12. ჩხუტი; 13. ბრიხი; 14. ჰამილტონი; 18. კიაზო; 20. ჰოპერი; 23. ჯუნგლი; 24. კოღო; 25. ჯოკერი; 26. ბანა; 27. პროფანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბაჟი; 2. მეოხი; 3. კლიჩკო; 5. დელტა; 6. ნომინალი; 8. კარაბინერი; 10. გლუკოზა; 12. აპრიორი; 14. სტრიპი; 15. საცივი; 16. კიევო.

თარაზულად: 1. ბოჰემა; 4. ედისონი; 7. ფროიდი; 9. კაკაჩი; 11. არქიელი; 12. ალკოჰოლი; 13. სკვერი; 17. სატირა; 18. ცეცე; 19. არმანიაკი; 20. ფიტომალი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

26 დეკემბერი

აშშ დოლარი — 2.8746

ევრო — 3.1888

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6620

100 რუსული რუბლი — 4.6217

ამინდის პროგნოზი 26 დეკემბერი



17 დეკემბრიდან

ოტია იოსელიანი

მუხლებზე დაწერილი და მტრედებს გამოტანებული ბარათები

ფასი გაზეთთან ერთად 9,5 ლარი

მიხეილ ზაქარიაშვილი მარინა ბერიძეს აკრიტიკებს

მომღერალი მიხეილ ზაქარიაშვილი „მხოლოდ ქართულის“ მუსიკალურ პროდიუსერს მარინა ბერიძეს აკრიტიკებს და მეორე საკონკურსო ტურში გოგი ცაბაძის სიმღერის დამახინჯებაში ადანაშაულებს:

– რამდენი მუსიკალური მიმდინარეობა არსებობს მსოფლიოში ეს მე რაც უცებ გამახსენდა, დანარჩენი თქვენ დაამატეთ მუსიკოსებო: ფოლკლორული მუსიკა, სპირიტუალური მუსიკა, აკადემიური მუსიკა, პოპ მუსიკა, ქანთრი, ალთინო ამერიკული მუსიკა, ბლუზი, რიტმ ენდ ბლუზი, ჯაზი, როკი, პანკ როკი, ჰიპ ჰოპი, რეგეი, პოპი, შანსონი, რომანსი, საავტორო სიმღერა...

ქალბატონო მარინა, გადაავლეთ თვალი ამ ჩამონათვალს და როცა სიმღერებს აურჩევთ ბავშვებს და რაღაც ახალზე და ინოვაციურ პროექტებზე გექნებათ პრეტენზია ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ძალზე მისასალმებელია, მაგრამ მომავალში მაინც გაითვალისწინეთ, რომელ სიმღერას რა სტილი მოუხდება. თუმცა, ამ ყველაფერს, პირველ რიგში, ცოდნა სჭირდება მსოფლიოში მუსიკალურ სამყაროში თანამედროვე მიმდინარეობების!

კონკურსი იყო მხოლოდ ხტუნვის, ღრიალის, არასწორად შერჩეული სიმღერით დაბნეული, დამფრთხალი მომღერალი კონკურსანტი ბავშვებისა და დაბნეული ჟიურის წევრების კომენტარების. ერთფეროვანი არანჟირებით და შესრულების მანერით!

გოგი ცაბაძის სიმღერის ასეთ და ასე უნიჭოდ გაკეთებას და გაფუჭება-დამახინჯებას, სულ ახალი სიმღერები რომ გაგეშვათ, ჯობდა!

თქვენი სახელია მარინა, ახლა მარინადან რომ ამოვიღო რამდენიმე ასო, დარჩება „მა..ინა“. თქვენ მოგეწონებათ, ასე რომ ვინმემ მოგმართოთ?

ისე, როგორც ცაბაძის სიმღერის ჰარმონიიდან ამდენი აკორდის გაუჩინარება და მელოდიის ასე უნიჭოდ შეცვლა! ჩემთვის და ალბათ ცაბაძის შემოქმედების თაყვანისმცემლებისთვის, ყოვლად მიუღებელი და შეურაცხმყოფელია...

პატივისცემით „მხოლოდ ქართული“-ს უდიდესი გულშემატკივარი მიხეილ ზაქარიაშვილი.

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა მოწყენილი სახე გაქვს, რა მოგივიდა?

– მე და ჩემი ცოლი უნდა განვქორწინებულიყავით...

– მერე?

– ადგილამდე ვერ მივაღწიეთ...

– რატომ?

– გზაში ვიჩხუბეთ...

•••

ორი ხნიერი დაქალი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

– მომისმინე, ღვთის გულისათვის, მხოლოდ არ გაბრაზდე... ვიცი, რომ ამდენი წელია, დაქალები ვართ... მაგრამ შენი სახელი ვერაფრით გავიხსენე. შემახსენებ?

დაქალმა რამდენიმე წუთი გაბრაზებული გამომეტყველებით უყურა და შემდეგ ეკითხება:

– ახლავე გინდა?

•••

ქალმა სახეზე საშინელი დამწვრობები მიიღო და კანის გადანერგვა დასჭირდა. ქმარი მისთვის საკუთარი კანის გადანერგვას დასთანხმდა და ქალს მისი უკანალიდან აღებული კანი გადაუნერგეს. ოპერაციის შემდეგ გონს მოსულმა ქალმა სარკეში ჩაიხედა და, შედეგით კმაყოფილი, ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, არც კი ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადო.

– არ ღირს, მე იმითაც უკიდურესად კმაყოფილი ვარ, როდესაც დავინახე, როგორ გკოცნიდა ლოყაზე დედაშენი!

•••

მამაკაცი მებაყეს ეკითხება:

– საბაჟო შემოწმება ბევრ დროს წაიღებს?

– თუ თქვენი ბარგის შიგთავსით ვიმსჯელებთ, ასე, ათ წლამდე...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ვალვერდე: „დე იონგს უკეთ შეუძლია თამაში“



ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ ფრენკი დე იონგზე ისაუბრა და თქვა, რომ ის კმაყოფილია ჰოლანდიელის თამაშით, მაგრამ მას კიდევ უფრო მეტი შეუძლია. ვალვერდე დარწმუნებულია, რომ დროთა განმავლობაში დე იონგი მოუმატებს:

– მე ძალიან მომწონს მისი თამაში, რადგან ფრენკი ახალგაზრდა და ენერგიული ფეხბურთელია. ამავე დროს, მას კარგად ესმის პარტნიორების. სწორედ მისი ტიპის ფეხბურთელი სჭირდება ბარსელონას მომავალში. ვფიქრობ, დე იონგს უფრო მეტი შეუძლია და ის აუცილებლად მოუმატებს.

მესუტ ოზილმა ავადმყოფი ბავშვების 219 ოპერაცია დააფინანსა

მესუტ ოზილმა საკუთარი ინსტაგრამის გვერდზე საზოგადოებას ამცნო იმ ქველმოქმედების შესახებ, რომელიც მან ბოლო თვეებში გააკეთა.

ოზილმა 219 ოპერაცია დააფინანსა ავადმყოფი ბავშვებისთვის და ეს მხოლოდ დასაწყისია:

– მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ პროექტში გვერდში მიდგას და ეხმარება ავადმყოფ ბავშვებს. ეს მხოლოდ დასაწყისია და 2020 წელს გაცილებით მეტს გავაკეთებთ. ბავშვები ძალიან მიყვარს და მათ ყოველთვის დავეხმარები.

რეალმა ედეგორის დაბრუნება გადაწყვიტა

მადრიდის რეალმა გადაწყვიტა, რომ ზაფხულში მარტინ ედეგორი დაიბრუნოს.

ამჟამად ედეგორი რეალ სოსიედადშია განათხოვრებული, სადაც ორი სეზონი უნდა გაეტარებინა, მაგრამ ედეგორი იმდენად კარგად თამაშობს წელს, რომ რეალმა უკვე ამ სეზონის ბოლოს მოინდომა მისი დაბრუნება.

ედეგორი რეალ სოსიედადის ერთ-ერთი ლიდერია და სწორედ მისი თამაშის წყალობით გუნდი ამჟამად ესპანეთის ჩემპიონატში მეექვსე პოზიციაზეა.

მარტინ ედეგორი 15 წლის ასაკიდან რეალის საკუთრებაა, თუმცა პირველ გუნდში მან მხოლოდ რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა.

ჩელსი ტიმო ვერნერის ყიდვას შეეცდება

ზამთარში ლონდონის ჩელსი სერიოზულად აპირებს გაძლიერებას და გუნდმა უკვე რამდენიმე ტრანსფერი დაგეგმა.

ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ტიმო ვერნერი იქნება, რომელიც ლაიპციგის ლიდერია და გერმანიაში საუკეთესო თავდამსხმელების სიაში შედის. ვერნერის ყიდვა ბევრ სხვა კლუბსაც სურს, მაგრამ ლაიპციგი თავის ლიდერს ვერ ელევა და მასში 90 მილიონს ითხოვს. ჯერჯერობით უცნობია, აპირებს თუ არა ჩელსი ამხელა თანხის გადახდას.

იურგენ კლოპი: „კონცენტრაცია არ უნდა დავკარგოთ“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ მისი გუნდი ვალდებულია, რომ კონცენტრაცია არ დაკარგოს, რადგან წინ გრძელი სეზონია.

კლოპის აზრით, ლივერპულში ყველაფერი კარგად არის, მაგრამ მოდუნება არ შეიძლება:

– ჩვენ უკვე მოვიგეთ ტიტულები, რაც ძალიან მახარებს, მაგრამ წინ კიდევ ბევრი მატჩია და ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რომ ისევ გვინდა გამარჯვება. თუ კონცენტრაციას დავკარგავთ, შესაძლოა, ყველაფერი წყალში ჩაიყაროს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ლევან გელბახიანი: „სიკვდილითაც გვემუქრებოდნენ მხოლოდ ფილმის გადაღებისთვის“

ქართულ-შვედურ ფილმში „და ჩვენ ვიცეკვეთ“ ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელმა ლევან გელბახიანმა უცხოური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველოში სიკვდილით ემუქრებოდნენ მხოლოდ ფილმის გადაღებისთვის:

– საქართველო ძალიან პატრიარქალური ქვეყანაა. საზოგადოება ძალიან კონსერვატიულია. საზოგადოებაში დიდი გავლენა აქვს რუსეთს, რაც იწვევს იქ გარკვეული საბჭოთა მენტალიტეტის არსებობას.

აქ არაა შესაძლებელი პრაიდის გამართვა და სიკვდილითაც გვემუქრებოდნენ მხოლოდ ფილმის გადაღებისთვის.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბესიკ დუღაშვილს ცნობილი ადამიანები სტუდიაში მისვლაზე უარს ეუბნებიან

მხატვარმა ბესიკ დუღაშვილმა სამხატვრო სტუდია გახსნა და ცნობილ ადამიანებს ეტაპობრივად თავის მოსწავლეებთან იწვევს.

როგორც ხელოვანმა განაცხადა, ცნობილების ნაწილი მის შეთავაზებაზე უარს ამბობს, რაც მისთვის სრულიად გაუგებარია:

– ძალიან დიდ პატივს ვცემ ყველა იმ ადამიანს, ვინც საზოგადოებისთვის ძალიან ცნობილია, ვინც თავისი საქმიანობით, შემოქმედებით თუ მუშაკობით ხალხის ყურადღების ცენტრშია და მეტსაც ვიტყვი, უყვარს ხალხს.

მაგრამ როცა ვუკავშირდები და ჩემი სტუდიის ბავშვებთან შეხვედრას „სტუდიური შეხვედრების“ ფორმატში ვთხოვ და რაღაც უაზრო „მანქანებით“ ცდილობს „სტუმრობას“ თავი აარიდოს, არა და ეს ოხერი, მანქანას ვუგზავნი და სახლშიც მანქანით ვუშვებ, მაშინვე პლინტუსს ქვევით ეცემა ჩემს თვალში მისი „სიდიადე“.

ბავშვებს გაესაუბრო, მათი მსოფლმხედველობა სწორი მიმართულებით წარმართო, თავი „გააცნო“, ხშირ შემთხვევაში ასეც არის ხოლმე, არც იცნობს ახალი თაობა და დაამახსოვრო, უკეთესს რას იზამ?

იქნებ და დალოცვილო, შენთან შეხვედრას რა დადებითი გარდატეხა მოაქვს მის ცხოვრებაში?

შარშან მიხეილ ცაგარელმა მითხრა უარი და მერე ან მითიშავდა მობილურს, ან საერთოდ არ მპასუხობდა. წელსაც სამმა თუ ოთხმა „ცნობილმა“ დაიძვრინა თავი. მომავალში, რომც მეხვეწონ, სტუდიაში ფეხს არ შემოვადგმევინებ! ბავშვს სტუმრობაზე უარს როგორ ეუბნები?

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

26 დეკემბრისათვის

ვერძი – შანსი გეძლევათ, მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. იზრდება თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი. **კურო** – ახალი კონტაქტები იღებლიანად წარიმართება. შესაძლოა, შემოსავალი გაგეზარდოთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი და სექსუალური პოტენციალი მაღალია. საღამოს ნათესავებთან ურთიერთობა დაგეძაბებათ. **კირჩხიბი** – პროვოკაციული დღეა. ერიდეთ სხვის საქმეში ჩარევას, თორემ გაუგებრობაში გაეხვევით. **ლომი** – კოლეგებთან პატარა კონფლიქტია მოსალოდნელი. მოვლენებზე მტკივნეულ რეაგირებას ნუ მოახდენთ. **ქალწული** – საკუთარი ძალების რწმენა და საქმიანი აქტივობა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. მატერიალური მდგომარეობაც გიუმჯობესდებათ. **სასწორი** – დაბნეულობის გამო საქმიანი რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. შეუფერებელი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, მოლაპარაკებებისათვის. **ღრიანკალი** – ილუზიებს არ აჰყვეთ. ეცადეთ, არავინ მოგატყუოთ. არაკეთილისმყოფელი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, მივლინებებისათვის. **მშვილდოსანი** – მშვიდად იმუშავეთ. მყისიერ შედეგს ნუ ელით. მთავარია, თქვენი საქმე დიდი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალურად აკეთოთ. **თხის რქა** – მსხვილი შენაძენისათვის საყიდლებზე ნუ წახვალთ. ფული წყალში იქნება გადაყრილი. ჯანმრთელობის მდგომარეობა გიუარესდებათ. **ვერწყული** – კონფლიქტური დღეა. მოშურნეებსა და არაკეთილგანწყობილ ადამიანებს ერიდეთ. ნუ იქნებით თავქარიანი. **თევზები** – პასიურად ხართ. ინიციატივისა და პრინციპულობის გამოვლენა დღეს აუცილებელია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯვოსვოოდი ১



შვეულად: 1. ზღვის ძუძუმწოვარა ცხოველი; 2. დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 3. რაიმეს განვითარების საფეხური, პერიოდი; 4. ყინულის ძველი ქართული სახელწოდება; 6. ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიური ჩანაწერი; 9. კურსი, რომლითაც ბანკი აწარმოებს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას; 11. არყის, რომის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 15. ბალნეოლოგიური კურორტი აზერბაიჯანში; 16. მოკლემეტრაჟიანი კინოფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 17. ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი სტატია, პუბლიკაცია; 19. ზღვისპირა კურორტი ლატვიაში; 21. ქრისტიანული სამლოცველო, ეკლესია; 22. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

თარაზულად: 5. პირველი მაჯის საათების შემქმნელი გერმანელი მექანიკოსი; 7. უდაბნო ჩილეში; 8. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 10. საფრანგეთის პრეზიდენტი; 12. შიშველი, წვეტიანი კლდე; 13. კანადის დედაქალაქი; 14. ინგლისელი კომიკოსი; 18. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 20. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 23. პოეტ ნიკოლოზ რაზიკაშვილის ფსევდონიმი; 24. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი ირანში; 25. სამხედრო-საზღვაო პოლიგონი საქართველოში; 26. აღდგომის მისალოცი სიმღერა; 27. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა